

# ეპროდუქტი

New ახალი

# საქარტიკალი

ISSN 1987-8729



სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი

№4 (48), აპრილი, 2015



## სიმინდი

- ქართული კრუბი
- წეროვანი 1
- აჯამეთის თეთრი

## უმაღლესი ხარისხის თესლი

# იყიდება!



## სოია

(არაგენმოდიფიცირებული)

- უნივერსალი 1
- კოლხიდა 4
- გეგრული 2

- თანამედროვე აღნაგობებზე გაწმენდილი
- დაკალციბრებული
- მაღალხარისხიანი ჰემობატით დამუშავებული

**წარმოებულია  
აგრარული  
უნივერსიტეტის  
სატელ გარეგანი**



## შვრია

- ვალდინ 765

☎ 595 690 986





# Adriatica

FERTILIZZANTI PER PASSIONE

## გრანულირებული სასუქი იტალიიდან



**N-Gooo 30.00.00 (36%SO<sub>3</sub>)**  
**N-30, NH<sub>4</sub> – 13.5NH<sub>2</sub> – 16.5,**  
**SO<sub>3</sub> – 36, DCD-2.5**

გამოიყენება ნიადაგის  
გასანოყიერებლად, როგორც  
აზოტოვანი სასუქი დამატებული  
გოგირდის ანჰიდრიდი შევება  
სასოფლო-სამეურნეო კულტურებში:  
ხახვი, შაქრის ჭარხალი 300-400კგ/ჰა;  
პამიდორი – 400-500კგ/ჰა;  
კარტოფილი – 300-500კგ/ჰა;  
ხორბალი, სიმინდი – 400-600კგ/ჰა.

**NPK 15-15-15 (5%SO<sub>3</sub>)**  
**N – 15, NH<sub>4</sub> – 3.5, NH<sub>2</sub> – 11.5,**  
**P<sub>2</sub>O<sub>5</sub> – 15, K<sub>2</sub>O – 15, SO<sub>3</sub> – 5**

გამოიყენება როგორც ნიადაგის  
უნივერსალური სასუქი ყველა  
სასოფლო-სამეურნეო კულტურაში,  
განსაკუთრებით ეფექტურია  
სიმინდში!



თბილისი 0119, წერეთლის გამზ. 142,  
მე-2 სართ., ოთახი №15

ტელ/ფაქსი: 2 341 678;  
მობ.: 597 170 702, 597 170 706

ელ.ფოსტა: [info@agrovitae.ge](mailto:info@agrovitae.ge)  
[www.agrovitae.ge](http://www.agrovitae.ge)



**სასოფლო-სამეურნეო  
 ტექნიკის, ტექნოლოგიებისა  
 და სპეცტექნიკის  
 მომწოდებელი ლიდერი  
 კომპანია!**

**კომპანია  
 „მსოფლიო ტექნიკა“  
 2013-2014 წლის  
 შედეგებით  
 საქართველოს  
 სანარმოების  
 საყოველთაო  
 რეიტინგში თავის  
 საქმიანობის სფეროში  
 ერთ-ერთი საუკეთესო  
 მაჩვენებლით  
 „პერცხლის“  
 კატეგორიაში  
 მოხვდა**



გამ. NBR-735  
 23.03.2015

შპს მსოფლიო ტექნიკა (WORLD  
 TECH IC LTD)-ის  
 დირექტორს  
 ვ.გორგოძეს

შეტყობინება  
 საწარმოს ეკონომიკური რეიტინგის შესახებ

**ბატონო ვალერიან!**

ოფიციალურად გატყობინებთ საქართველოს საწარმოების საყოველთაო სახელმწიფო რეიტინგების შემუშავების დასრულების შესახებ 2013-2014 წლების შედეგების მიხედვით.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოებული სტატისტიკური შედეგების რანჟირების მიხედვით, თქვენმა საწარმომ დაიკავა:

„31-ე“ ადგილი (ვერცხლი) საქართველოს ტოპ-50 საწარმოს შორის კრიტერიუმის -  
 „ჯამური ადგილი“ - მიხედვით;

„29-ე“ ადგილი (ვერცხლი) თბილისის ტოპ-50 საწარმოს შორის კრიტერიუმის -  
 „ჯამური ადგილი“ - მიხედვით.

მოცემული მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა თქვენი საქმიანობის სფეროში და უნდა იქნას დადასტურებული შესაბამისი ღირსების ნიშნებით, რომლებსაც მიიღებს დაჯილდოების ოფიციალურ პროგრამებში მონაწილეობის შემთხვევაში (დამატება "ოფიციალური პროგრამული ღონისძიებები საუკეთესო საწარმოების დაჯილდოებისთვის", პროგრამები 1-3).

წერილის მიღებიდან 7 დღის განმავლობაში, გთხოვთ, მიმართოთ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საორგანიზაციო კომიტეტს და მიიღოთ სათანადო ჯილდოები თქვენთვის და თქვენი საუკეთესო თანამშრომლებისთვის, აგრეთვე თქვენი საწარმოს მარკეტინგულ-ეკონომიკური სტრატეგიის ლიდერის სიმბოლიკისა და სტატუსის გამოყენების უფლება.

დეტალური ინფორმაციისთვის თქვენი საწარმოს დაჯილდოების თავისებურებების შესახებ მიმართეთ -

ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საორგანიზაციო კომიტეტს თბილისში: +995 32 205 42 70, +995 32 205 42 77, +995 558 97 18 48 (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9-00 - 18-00 სთ.).

პატივისცემით,

მაკა კულუბიძე  
 საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირი

საქართველო, თბილისი, 0160. ს.ცინცაძის 12 (საბურთალოს 32), მე-5 სართ. ოფისი 10. აქსიის ბიზნეს ცენტრი

ტელ: +(99532) 205 42 70, +(99532) 205 42 77, +(995) 558 97 18 48  
 www.nbr-ge.com

# DeLaval Bosio



**დელავალის მობილური  
საწველი სასარტები  
მსხვილფუნა და წვრილფუნა  
მერქეული  
მეცხოველეობისათვის**



ოფიციალური დილერი

**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო ტექნიკა

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) E-mail: [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)  
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

**AG** ალიანს ჯგუფი  
ლიზინგი

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ  
ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად





ახალი აგრარული საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

აპრილი, 2015 წელი.

№4 (48)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი), ნუგზარ ებანიძე, რეზო ჯანბიძე, მიხეილ სოხაძე, თამარ სანიაციძე, ნოდარ ბრეგვაძე, ბექა გინაშვილი, გიორგი ბარისაშვილი (მევენახეობა-მელისმცობის რედაქციის რედაქტორი), თამთა გუგუშვილი (იხვლ. ვერს. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებთან დოქტორები, პროფესორები: რევაზ მახარობლიძე (თაუჯდომარე), გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტყარაძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგზარ ებანიძე, პაატა კოლუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, შოთა ჭალაგანიძე, ზვიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი, ლევან უჯმაჯურიძე, ზაურ ფულუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე, ქრისტო კანიაშვილი, ადოლ ტყეშელაშვილი, ნატო კაკაბაძე, კუკური ძეგია, კახა ლაშვი, ომარ თევდორაძე, ნუგზარ სარჯველაძე, თენგიზ ყურაშვილი, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე, ნუკრი მემარნიშვილი.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა); Association of Agrarian Sector Companies (ASCA). საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“; Regionica – Georgian Research Center for Regional Economic Priorities. რედაქციის მისამართი: თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53 ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00 599 16-18-31 Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53 www.regionica.org/journal.html E-mail.: agroasca@gmail.com

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (ციფრული ბიბლიოთეკა) www.dspace.nplg.gov.ge ახალი აგრარული საქართველო

დააკაბდონა გიორგი მაისურაძემ ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. The journal acts in accordance with the principles of free press. © საავტორო უფლება დაცულია. All rights reserved. რეფერირებადია 2011 წლიდან დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“

WORLD TECHNIC მსოფლიო ტექნიკა www.worldtechnic.ge

როგორი წაიკითხათ:

12



მიწის ბალანსი და მიწის კადასტრი

მიწის ბალანსი ანუ მიწის აღრიცხვა არის მიწის ფართობების დადგენა მიწის დანიშნულებების, კატეგორიებისა და მესაკუთრეების მიხედვით.



20

დავუბრუნოთ ქართულ აგრარულ კვალი დიდება, აღვადგინოთ ათასობით ახალი საფუაო ადგილი

დარგში დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, აბრეშუმის მრეწველობაში – 5,5-6,0 ათასი კაცი, ხოლო დარგის მმართველობის სისტემაში დასაქმებული იყო დიდი კოლექტივი, რომლებიც პრაქტიკულად სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მუშაობდნენ.



30

ორგანული მესხოველეობის პროდუქციის რეკლამირება

მსოფლიოში ორგანული მეცხოველეობა ორგანულ მემცენარეობაზე ნაკლებად არის განვითარებული.

6 ბარდაგინის სოფელ კაპანასხრი მაღალტექნოლოგიური სასათბურა მეურნეობა ამოქმედდა

7 პრემიერ-მინისტრი სოხის თხილის ქარხანაში

7 ქვემო ქართლში რწმუნის სეზონი გაიხსნა

8 „ფირმა ლომთაგორა“ გთავაზობთ ქართული სიმიდის ჯანსაღ უხვმოსავლიან სათესლავ მასალას!

10 სიმიდის ჰიბრიდ „ლომთაგორას“ თესვა-მოყვანის ტექნოლოგია დასაკვლავ და აღმოსავლეთ საქართველოსთვის

14 საქართველოს მიწა განსაცდელშია!

17 პრის სატვიპარი

22 ვაშლის ნერგის მყნობა ინტენსიური ბაღის გასაზოგადად

24 ღვინის შენახვისა და დაქვევანის საკითხისათვის

26 სამონადირაო მეურნეობის დანიშნულება და მნიშვნელობა

28 სოფი საუიში დაავადება

29 აჭარელ ფარმერებს ჯერის ჯიშის მაღალაროდუმიური ქროზი გადაეხათ

32 საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის აგრარული

34 როგორ შევინარჩუნოთ მარცხვალის სარისი მოსავლის აღებიდან თესვა?

34 სოხის თესვა-მოყვანა სიმიდთან შეთანხმით

35 საქართველოს სოფლის მეურნეობის მსხინარებათა აკადემიის მიერ 2014-2015 წლებში გამოცემული რეკომენდაციები

36

გამომცემთა შერნალი „ახალი აგრარული საქართველო“! პრემის გვერდების საგანმელოდ: „ელვაჯი“ ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74); „საძერესა“ (0 (32) 2518518). 1 წლით ჟურნალის გამოწერა ღირს 24 ლარი, 6 თვით – 12 ლარი. შერნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეფერირებადია 2009 წლიდან.



# გარდახნის სოფელ კახანასხეში მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა ამოქმედდა

პროექტი საქართველოს თანაინვესტირების ფონდისა და სასათბურე მეურნეობის ბანკითარაბაში წამყვანი ფრანგული კომპანია რიშელ ჯგუფის (RICHEL GROUP) ერთობლივი ინვესტირების შედეგად განხორციელდა.

4.4 ჰექტარზე გაშენებულ სასათბურე მეურნეობაში ამ დროისთვის დასაქმებულია 108 ადამიანი, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა. თანამედროვე ტიპის სასათბურე მეურნეობაში ქართველ აგრონომებთან ერთად ფრანგი და უკრაინელი მაღალი კლასის აგროინჟინერები, ბიოლოგები და ტექნოლოგები მუშაობენ. უახლესი ტიპის თანამედროვე დანადგარები და სათესლე კულტურები საფრანგეთიდან და ჰოლანდიიდან არის შემოტანილი.

„ამ ადგილას 6 თვის წინ 35 ჰექტარი ხრიოკი მიწა იყო, დღეს კი თავად ხედავთ იმას, რაც აშენებულია. მიმდინარე წლის

სექტემბრისთვის ამ მეურნეობის მოცულობა გასამაგდება. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ბიუჯეტში შევა მილიონობით ლარი. გარნმუნებთ, რომ აქ, ქართულ მიწაზე წარმოებულ პროდუქციას ვერანაირი იმპორტი ვერ გაუწევს კონკურენციას“ – აღნიშნა საქართველოს თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა.

2014 წლის 26 აგვისტოს პროგრამა „წარმოე საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს თანაინვესტირების ფონდს, 10 მილიონლარიანი საინვესტიციო ვალდებულებით, 35 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გადაეცა. ფონდმა ვალდებულება გადაჭარბებით, დადგენილ ვადებზე ადრე შეასრულა.

სასათბურე მეურნეობის მშენებლობა 2014 წლის 19 სექტემბერს დაიწყო. პროექტის პრეზენტაციას და მშენებლობის ოფიციალურ გახსნა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი და მთავრობის წევრებიც ესწრებოდნენ.

მშენებლობის დაწყებიდან მხოლოდ 6 თვეში აშენდა 44 ათასი კვადრატული მეტრი სასათბურე მეურნეობა, განხორციელდა 10 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია, რაც დაკისრებულ საინვესტიციო ვალდებულებას აღემატება. ამით მშენებლობის პირველი ფაზა დასრულდა.

„ეს არის ყველაზე მაღალი სათბური, რიგით მეორე კონსტრუქცია კავკასიის რეგიონში, რომელიც კომპანია „რიშელ ჯგუფმა“ კონკრეტულად საქართველოსთვის ააშენა. მისი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ, რაც უფრო მაღალია სათბური, მით უფრო მარტივია კლიმატისა და ტენიანობის კონტროლი, რაც მცენარის გაზრდისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ენერგოეფექტური, ენერგოდამზოგი, ავტომატიზირებული სათბური,“ – განაცხადა სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ გენერალურმა დირექტორმა დიმიტრი კოლესნიკოვმა.

2015 წლის აპრილის ბოლოს იწყება პროექტის მეორე ფაზა, რომელიც სექტემბერში დასრულდება. პროექტი დამატებით 85 ათასი კვადრატული მეტრის სასათბურე მეურნეობის მშენებლობას და დამატებით 20 მილიონი ლარის ინვესტიციის მოზიდვას ითვალისწინებს.

პროექტის სრულად განხორციელების შედეგად ჯამური საინვესტიციო ღირებულება 45 მილიონ დოლარს გაუტოლდება. სს „საქართველოს სათბურის კორპორაციაში“ ვარაუდობენ, რომ პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში 900 ტონა ბოსტნეული კულტურების მოყვანა იქნება შესაძლებელი, ხოლო მეორე ფაზის დასრულების შემდეგ ეს მაჩვენებელი 4000 ტონას გადააჭარბებს. პროდუქცია თავდაპირველად ქართულ ბაზარს მიენოდება, შემდეგ ექსპორტზე გავა.



# პრემიერ-მინისტრი სოხის თხილის ქარხანაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ლომიძე საგარეო რეგიონის სტუმრობდა. ირაკლი ღარიბაშვილია სოხში მდებარე თხილის ქარხანაში მიიწვიეს.

შპს „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსის“ მიერ დაფუძნებული ქარხანა 2013 წელს აშენდა და მასში 300 000 აშშ დოლარის მოცულობის ქართული ინვესტიცია განხორციელდა. წარმოების განვითარების მიზნით ქარხანამ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში მოიპოვა 782 000 აშშ

დოლარის ოდენობის დაფინანსება. საწარმომ შეძლო შეესყიდა თანამედროვე, უახლესი მოსახალი და შესაფუთი მანქანა-დანადგარები, ძირითადი საწარმოო აღჭურვილობები და ნედლეული. ქარხანაში ინარმოება თხილის გული, მოხალული თხილი, ბლანშირებული თხილი და აგრეთვე ინოვაციური თხილის პროდუქტი – მოხალული, დამარილებული თხილი ნაჭუჭით.



## მელიორაცია

# ქვემო ქართლი რწყვის სეზონი გაიხსნა

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ქვემო ქართლის რეგიონში რწყვის სეზონის გახსნის ღონისძიებას დაესწრო. მინისტრმა და საქართველოს გაერთიანებული საპარლამენტო სისტემების კომპანიის დირექტორმა ლევან დვალა გარდახანის სარწყავი სისტემის ძირითადი ნაწილის წყალგამწვავი კვანძის ფარი სიმბოლურად გახსნა. საქართველოს გაერთიანებული საპარლამენტო სისტემების კომპანია რწყვის სეზონის გახსნის ღონისძიების ტრადიციულ დაგეგმვას და ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აღნიშვნას გეგმავს.

პროგრამის ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით სარეაბილიტაციო სამუშაოებს 34 ობიექტზე ახორციელებს. ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას მომავალშიც გააგრძელებს, რათა საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაქსიმალური წყალუზრუნველყოფა მოხდეს”, – განაცხადა საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის დირექტორმა ლევან დვალამ.

რწყვის სეზონის გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები: ნოდარ კერესელიძე, დავით გალეგაშვილი, იური ნოზაძე, ადგილობრივი ხელისუფლების, დონორი ორგანიზაციების და საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის წარმომადგენლები. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სარეაბილიტაციო ღონისძიებები რწყვის სეზონის პარალელურად გაგრძელდება.


გარდახანის სარწყავ სისტემაში წყლის გაშვების ღონისძიებას ადგილობრივ ფერმერები ესწრებოდნენ. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ადგილობრივებთან რეგიონის განვითარებისთვის სამელიორაციო სისტემების გამართული ფუნქციონირების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ოთარ დანელიამ აღნიშნა, რომ წყალუზრუნველყოფილი ტერიტორიის 1/3 სწორედ ქვემო ქართლის რეგიონზე მოდის.



„უკანასკნელი წლების განმავლობაში სამელიორაციო სისტემებზე ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო პროექტები ხორციელდება. ქვემო ქართლის რეგიონში საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია ახორციელებს ყველაზე მასშტაბურ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, რომლის დასრულების შემდეგ 30 000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი იქნება წყალუზრუნველყოფილი“, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

„დღეისათვის, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია სარწყავი და სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების

# „ლომთაგორა“ ქართული სიმინდის ჯანსაღ უზვმოსავლიან სათესლე მასალას ბთავაზობთ!



უზარისხო, გაურკვეველი წარმომავლობის თესლი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ ბოლო ათწლეულებია ქვეყანაში სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 20 ცენტნერს ვერ სცილდება. უარესი მდგომარეობაა ხორბლის, ქერისა და სხვა მარცვლეული კულტურების მხრივ.

საქართველოში ტრადიციული სათესლე მეურნეობები და საცდელი ბაზები, სადაც სხვადასხვა კულტურების ადგილობრივი თუ შემოტანილი სათესლე მასალის გამოცდა – დარაიონება წარმოებდა, მთლიანად მოიშალა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მართალია დაიწყო ამ მიმართებით მუშაობა, მაგრამ ვიდრე იგი საბოლოო სახეს მიიღებს, დრო სჭირდება. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ამ საყოველთაო ნგრევის ჟამს მეთესლეობის მიმართულებით დარგის წამყვან მეცნიერ-სელექციონერებთან ერთად მუშაობს, აგროპოლიტიკა „ლომთაგორა“.

დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, მემარცვლეობა სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგი არ არის. ქვეყანას წელიწადში 700 000 ტონამდე ხორბალი სჭირდება. სხვა მარცვლეულსაც – სიმინდს, ქერს, შვრიასაც ამდენივეს მოიხმარს. შარშან ქვეყანამ მთლიანად 17 ათასი ტონა ხორბალი მოიწვია, რაც საგანგაშო ფაქტია. ის თანხა, რაც შეიძლება საქართველოს მემარცვლეობაში ჩაიდოს და სოფლის მეურნეობას წელში გამართვაში დაეხმაროს, საქართველოდან სხვა ქვეყნების – ყაზახეთის, უკრაინის, თურქეთისა და სხვ. სოფლის მეურნეობაში იდება. სათესლე მასალის შესაძენად რა ოდენობის ვალუტაც გაედინება ქვეყნიდან, ის თანხა საქართველოში რამდენიმე წელიწადში მეთესლეობის დარგს ააღორძინებდა, მაგრამ ჩვენი ჩინოვნიკები ხორბლისა და სიმინდის თესლის საძებნად რუსეთში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში დადიან. დიდი მოცულობის საინვესტიციო თანხა გადის ქვეყნიდან, სადაც იმდენი მიკროკლიმატური ზონაა, ძნელად მოიძებნება კულტურა, რომლის თესლის წარმოება არ შეიძლებოდა. აი, სად დევს საინვესტიციო რეზერვი, თუმცა ჩვენ ხომ იმ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს.

„ლომთაგორა“, ბუნებრივია, საქართველოში გავრცელებული ყველა კულტურის თესლის სელექციასა და წარმოებას ვერ შეიძლება, არც აქვს ამის პრეტენზია, მაგრამ აქ ქართული ხორბლისა და სიმინდის საუკეთესო ჯიშები და ჰიბრიდული სათესლე მასალა გამოჰყავთ.

სიმინდის თესვის დრო დგება, საქართველოს გაზარზე სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი სიმინდის თესლის შიქინა შიქილება. ფასიც განსხვავებულია – ღირებულება 12-დან 22 ლარამდე მერყეობს, თუმცა სიძვირის მიუხედავად იმის ბარანტიან (ზაფხური დაზიანების გარდა), რომ ეს თესლი ხარისხიანია, ადგილობრივ კლიმატურ პირობებს ებუება და. ა.შ. არაპინ იძლევა.

„ლომთაგორაში“ რამდენიმე ჯიშის საუკეთესო ხორბლის უზვმოსავლიანი ქართული ჯიში გამოჰყავთ, მუშავდება ახალი გენეტიკური მასალა. როგორც მეხორბლეობის სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი ირაკლი რეხვიაშვილი აღნიშნავს: ახალი ხორბლის ჯიშები სპეციალურ სანერგეში საგანგებოდ იცდება და ირჩევა მისი სამეურნეო თვისებების, მოსავლიანობის, დაავადებისადმი მდგრადობისა და სხვა მაჩვენებლებზე დაყრდნობით, შემდეგ ხდება წარმოებაში ჩაშვება, ფერმერებისთვის შეთავაზება. შარშანდელი ჩვენი ხორბლის თესლები უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოირჩევა ყველა მათ მიმდებარედ არსებული ხორბლის ნათესებისგან. ჩვენთან ამჟამად დომინირებს „ლომთაგორა 126“ და „ლომთაგორა 143“ ს-8 და ს-9, მაგრამ „ლომთაგორა 126“ მათ შორისაც ჩემპიონია. შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ დღეს საქართველოში ასეთი ხორბლის ჯიში მოსავლიანობითა და სხვა თვისებებით არ ითესება. მასთან რუსეთიდან თუ სხვა ქვეყნიდან შემოტანილი ხორბლები ახლოსაც ვერ მოვა. წლეუანდელი მოსავალი კარგად დაახასიათებს მას. ჩვენს მეურნეობაში დაგეგმილი ვაჭქს 9 ტონა მოსავლის მიღება ჰექტარზე. ფერმერები, ვისაც დათესილი აქვთ ქართლში, კახეთში ალფრთოვანებული არიან. მართლაც საოცრად კარგ მოსავალს მივიღებთ. წლეულს კარგი აგროფონი გვქონდა, შემოდგომაზეც იყო საკმარისი ნალექები, გაზაფხულიც კარგია და ეს ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს.

„ლომთაგორაში“ უკვე რამდენიმე მაღალი ხარისხის უზვმოსავლიანი სიმინდის თესლსაც აწარმოებენ.

როგორც პოლიტიკის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი კახა ლაშვი აღნიშნავს, კომპანიის გადაიარაღებისა და რეზერენდინგის შემდეგ, რაც USAID-ის ეგდით წარმართა, გასულ წლებთან შედარებით წლეულს დამზადებული სიმინდის სათესლე მასალის საუკეთესოდ დამუშავება შევძელით. ამ ტექნოლოგიების დანერგვამ წარმოებული სათესლე მასალის თვითღირებულება შეგვამცირებინა. ამიტომ, იმის გათვალისწინებით, რომ ქართველ ფერმერებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ქვეყნის ძირითად ჭირნახულს, მარცვლეულს აწარმოებს, ძალიან უჭირთ (შარშანდელმა გაუსაძლისმა გვალვებმა კიდევ უფრო გააუარესა მათი მდგომარეობა), გადავწყვიტეთ საკუთარი მოგების შემცირების ხარჯზე შეღავათი გაეწვიოთ და ადგილობრივი სიმინდის სათესლე მასალა უპრეცედენტოდ დაბალ ფასად შევთავაზოთ, რათა მეტ ფერმერს მიეცეს ჯანსაღი პროდუქტის მიღების შესაძლებლობა.

„ლომთაგორას“ სიმინდის ჰიბრიდები გათვლილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რეგიონებისთვის იმის მიხედვით, რომელ ზონაში ითესება. ფერმერებს კონსულტაციასთან ერთად უფასოდ ვაძლევთ აგროტექნიკურ რუკებს და თუ ისინი დაიცავენ იმ რეკომენდაციებს, რასაც ჩვენი სპეციალისტები ურჩევენ „ლომთაგორას“ ჰიბ-



რიდებიდან 8-10 ტონა სიმინდის მარცვალს მიიღებენ. ამის გარდა მოსავლის აღების შემდეგ ვთავაზობთ მომსახურების წელავათიან პირობებსაც: ფერმერებს მონეული სიმინდის ჩვენთან გაშრობა და 6-დან 8 თვემდე შენახვა შეუძლიათ.

ფერმერებს თუ უხვი ჯანსაღი პროდუქტის მიღება სურთ, ვურჩევთ „ლომთაგორას“ სიმინდის ჰიბრიდების დათესვას. ჯერ ერთი, რომ ადგილობრივი ჯიშებია, ადაპტირებულია ქართულ გარემოსთან, გამძლეა აქ გავრცელებული დაავადების მიმართ. შემოტანილი კი აქაური პირობების მიმართ შეგუებული არ არის, სტრესებს ვერ უძლებს, ამიტომ 10 ფერმერიდან ვინც შემოტანილ, გამოუცდელ, დაურაინებელ თესლს თესავს, ხუთს შეიძლება ჩაუვარდეს მოსავალი და იზარალოს. ჩვენი თესლის შემთხვევაში კი ამის ალბათობა გამოირიცხება, თუ, რასაკვირველია, ფერმერი ჩვენს რეკომენდაციებს დაიცავს. „ლომთაგორას“ სიმინდის სათესლე მასალის ფასი 3 ლარიდან იწყება და 7 ლარამდე ადის. ჰექტარზე საჭირო სათესლე მასალის ღირებულება ჰიბრიდული თესლის შემთხვევაში 140 ლარს შეადგენს, ჯიშის შემთხვევაში – 60 ლარს.

შემოტანილი უცხოური სიმინდის ერთი ჰექტრის სათესლე მასალის ფასი 240 ლარიდან 340 ლარამდე მერყეობს, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ისინი ჩვენს სიმინდის ჰიბრიდებს ვერაფრით სჯობია. ჩვენ უზრალოდ დაინტერესებულები ვართ, მეტმა ფერმერმა დათესოს სიმინდი და თესლსაც ამიტომ ვყიდით შედარებით იაფად. ჩვენთვის ქართველი მესიმინდე ფერმერების ბედი სულ ერთი არაა. მათი წარმატება ჩვენი წარმატებაცაა. ფერმერმა უნდა იფიქროს თავის მოსავალზე და სწორი არჩევანი გააკეთოს.

**ზურაბ ჯინჯიხაძე**, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი, სელექციონერი: როგორც ცნობილია, სიმინდი საქართველოში სასურსათედ და საფურაჟედ გამოიყენება. ვისაც სასურსათე სიმინდის მოყვანა სურს, აჯამეთის თეთრი, აბაშის ყვითელი და სხვა ადგილობრივი ჯიშები უნდა დათესოს, რადგან შემოტანილ ჰიბრიდებს ასეთი სასურსათო თვისებები არ გააჩნია. ჰიბრიდები უხვმოსავლიანია, მაგრამ ისინი ადგილობრივ ჯიშებს ამ თვისების გამო ვერ ჩაანაცვლებენ.

ჩვენ „ფირმა ლომთაგორაში“ ვამზადებთ ორ ადგილობრივ ჯიშს: აბაშის ყვითელსა და აჯამეთის თეთრს.

რაც შეეხება ჰიბრიდებს, რეკომენდაციას ვაძლევთ ფერმერებს დათესონ „ლომთაგორაში“ შექმნილი ჰიბრიდები „ლომთაგორა-1“, „ლომთაგორა-2“ და „ლომთაგორა-3“.

ეს ჰიბრიდები ადგილობრივი მასალითაა გამოყვანილი, გენეტიკურად სუფთა და უხვმოსავლიანია. ყუათიანობის მაჩვენებლებით იგი მნიშვნელოვნად აჭარბებს შემოტანილ

ჰიბრიდებს, მოსავლიანობით არ ჩამოუვარდება მსოფლიოში ცნობილ არცერთ ჰიბრიდსა და ჯიშს. სიმინდის თესლი მომზადებულია, დაკალიბრებულია, შენამლულია, შეფუთულია სპეციალურ ტომრებში, შემონმებულია აღმოცენებაზე, პირველი კლასისაა – 98-99%-იანი აღმოცენების უნარი გააჩნია.

ჩვენი ჰიბრიდები დარაინონებული და გამოცდილია იმის მიხედვით, რომელი რეგიონისთვის რომელი ჰიბრიდია უკეთესი. მაგალითად: „ლომთაგორა 1“ ფართო დიაპაზონის ჰიბრიდია, რომელიც შეიძლება დაითესოს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ რაიონებში, ისე დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ზღვის დონიდან 500-600 მეტრის სიმაღლეზე. მეორე ჰიბრიდი „ლომთაგორა 2“ შექმნილია ისეთნაირად, რომ მასში მონაწილეობს აბაშის ყვითელი და იგი მისაღება დასავლეთ საქართველოს დაბალი ზონისათვის. ამის გარდა „ლომთაგორა 3“-ში ჩვენ ჩართული გვაქვს „ქართული კრუგი“, ამიტომ იგი უფრო აღმოსავლეთ საქართველოს პირობებისთვისაა მიზანშეწონილი. გარდა ამისა გვაქვს საშუალო ვეგეტაციის სამხაზოვანი ჰიბრიდი, რომელიც უფრო მაღალ ზონებში 500-დან 1000 მეტრამდე შეიძლება დაითესოს. ჩვენი ჰიბრიდები სტაბილურ მოსავალს იძლევა, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა წლებში სხვადასხვა კლიმატურ პირობებში კარგი მოსავლის მოცემა შეუძლია. „ლომთაგორას“ ჰიბრიდები უხვმოსავლიანობით ხასიათდება: თუ ექნება კარგი მოვლა, მცენარეს კარგ აგროფონს შეუქმნით, ჰექტარზე 8-10 ტონა მარცვლის მოცემა შეუძლია.

რა იგულისხმება კარგი აგროფონის შექმნაში, ამ თემაზე აგროტექნოლოგი, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი **ზაურ ჯულუხიძე** გვესაუბრება:

– შემუშავებული გვაქვს აგროტექნოლოგია, რომლის გამოყენების შემთხვევაში „ლომთაგორას“ ჰიბრიდებს 10-12 ტონა მარცვლის მოცემა შეუძლია.

აუცილებელი ღონისძიებაა აღმოსავლეთ საქართველოში შემოდგომაზე ხვნა, ადრე გაზაფხულზე საჭიროა ნახნავის დაფარცხვა, რაც ინვეს ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერებას, ხელს უწყობს ნიადაგში თევზამდე ტენის შენახვას და ნაწილობრივ სარეველების წინააღმდეგ ბრძოლას. შემდეგ აუცილებელია სასუქის ნორმებისა და ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვა, რაც უხვი მოსავლის საწინდარია.

მინათმუქმედაში მაქსიმუმის, მინიმუმისა და ოპტიმუმის კანონის თანახმად შეიძლება ყველა ღონისძიება ზედმიწევნით დაიცვა, მაგრამ ერთი რომელიმე ღონისძიება ჩაგვიარდეს და მიიღებ იმ ჩავარდნილი ღონისძიების შესაბამის შედეგს. ე.ი. თუ გინდა უხვი მოსავალი მიიღო, ყველა ღონისძიება დროულად და უნაკლოდ უნდა ჩატარდეს.



# სიმინდის ჰიბრიდ „ლომთაგორას“ თესვა-მოყვანის ტექნოლოგია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსთვის

## დასავლეთ საქართველო

№	ჩასატარებელი ღონისძიება	ჩატარების ვადა
1.	რთული კომპლექსური სასუქების (ნიტროამოფოსკა, დიამოფოსკა, ამოფოსი, სუპერფოსი, ან სხვა) ნიადაგში შეტანა მოხენის ან სიმინდის თესვის დროს. კონკრეტული პირობებისთვის შესატანი დოზა განისაზღვრება ნიადაგში არსებული დამცენარის მიერ ნიადაგიდან მოსავლით გამოტანილი შესათვისებელი საკვები ნივთიერების რაოდენობის მიხედვით. (მიღებულია დაიგეგმოს მაკრო-ელემენტების ზოგადი ფორმულირება N <sub>20-25</sub> P <sub>8-12</sub> K <sub>20-25</sub> სუფთა ერთეულის (ს.ე.) გამოყენება ერთი ტონა მარცვლის მისაღებად.	თებერვალი, მარტი, აპრილი
2.	ნიადაგის დამუშავება. დასავლეთ საქართველოს რთული ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში სიმინდისთვის ნიადაგი იხენება ცალკეული ზონისთვის რეკომენდებული წესით ნიადაგის თვისებების, წინამორბედი კულტურის თავისებურებების და ნიადაგის დაცვის ღონისძიებების გათვალისწინებით შემდეგ ვადებში: – იმერეთის დაბლობზე და კოლხეთის დაბლობის შემალეულ ნაწილში შემოდგომით, ზამთრისპირას ან ზამთარში. კოლხეთის დაბლობის ძირითად ნაწილში (სამტრედიის ქვემოთ) ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე მინდორში გასვლის პირველი შესაძლებლობისთანავე. ამავე დროს იხენება დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ენერი და ეროზიასაშიში ნიადაგები. სამემოდგომო და მოზამთრე შუალედური კულტურებისგან (შვრიანარევი ბარდა, ცერცველა, ცულისპირა, რაფსი) განთავისუფლებული ნაკვეთები მოსავლის აღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მაისის პირველი დეკადისა. შუალედური კულტურები მწვანე საკვებად და თივად დროულად უნდა იქნას აღებული, რათა არ დაგვიანდეს მომდევნო ძირითადი კულტურის, სიმინდისათვის ნიადაგის მომზადება და თესვა. აღვური ნიადაგები უნდა მოიხნას 25-27 სმ. სიმაღლეზე, ხოლო ენერი და მცირე სიღრმის ნიადაგები – ჰუმოსოვანი ფენის მთელ სიღრმეზე, ბელტის გადაუბრუნებლად და სახნავი ფენის თანდათან დაღრმავებით.	თებერვალი, მარტი, აპრილი
3.	ნიადაგის თესვისთვის მომზადება ტარდება დიფერენცირებულად, ხნულის მდგომარეობის გათვალისწინებით. ბელტის ხნული შემოშობისთანავე უნდა დამუშავდეს (დაიჭრას) მძიმე დისკოებიანი ფარცხით მცირე ზომის ბელტებზე, რომლებიც ადვილად შრება და მცირე ნალექის ზემოქმედებითაც კი მთლიანად სვედება და გაშრობის შემდეგ ადვილად ფხვირდება. ნიადაგის დაჯდომის შემთხვევაში გაზაფხულზე საჭიროა ხნულის აოშვა საოში გუთნით 12-15 სმ-ის სიღრმეზე და შემდეგ კულტივაცია. თესვის წინ ხნულის ზედაპირის მდგომარეობის გათვალისწინებით ნიადაგი უნდა დამუშავდეს მძიმე დისკოებიანი ფარცხით ზიგზაგთან ერთად ან დაიფრეზოს.	
4.	თესვა. დასავლეთ საქართველოში უნდა დაითესოს „ლომთაგორა-1“ და „ლომთაგორა-2“. თესვა უნდა ჩატარდეს 75 სმ. მსკრივთაშორისებით. მსკრივებს შორის მანძილის გაზრდით იზრდება გარე ეფექტი და მცირდება სატრაქტორო სამუშაოების ჩატარების დროს ტენიკის მოძრაობით გამოწვეული ნათესის დაზიანების პროცენტი. ორივე ჰიბრიდისათვის დგომის ოპტიმალური სისშირეა, როცა მოსავლის აღების დროს შენარჩუნებულია 50-55 ათასი მცენარე ჰექტარზე. ამ სისშირის მისაღწევად ერთ ჰექტარზე უნდა დაითესოს 72-75 ათასი მარცვალი. თესვის დროს მსკრივებში მარცვლებს შორის მანძილი უნდა იყოს 18-19 სმ. თესვასთან ერთად ნიადაგში უნდა შევიტანოთ, დაგეგმილი: რთული სასუქის ან ამონიუმის გვარჯილის ზღვრული ოდენობა, ხოლო ნიადაგის მავნებლებისგან (მახრა, მავთულა ჭია და სხვა) ნიადაგის მკვეთრად დაზიანების საშიშროების შემთხვევაში ნიადაგის ინსექტიციდი რეგენტი – 4-5კგ/ჰა-ზე (სათესებზე მიკროგრანულატორების გამოყენებით), თუ ვერ მოხერხდა აღნიშნულის განხორციელება, მაშინ მომხმარებელმა უნდა მიმართოს კომპანია „ლომთაგორას“ თესლის გადაამამუშავებელ ქარხანას, რომელიც სპეციალური დაკვეთით დაუმუშავებს მას სათესლე მასალას. (უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით).	აპრილი, 15 მაისი
5.	ჰერბიციდების (ნიკოფურონი-1-1,5ლ/ჰა; პილოტი 60გრ/ჰა; ნიკოში-1-1,5ლ/ჰა; სტელარი 1-1,5ლ/ჰა; მაისი – 50გრ./ჰა, ან სხვა) შეტანა სიმინდის მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში. აღნიშნული ზოგიერთი ჰერბიციდი დამატებით საჭიროებს ბრტყელფოთლიან სარეველების საწინააღმდეგოდ მოქმედ ჰერბიციდის დამატებას. აღნიშნული ოპერაციის ჩატარება რეკომენდირებულია 6. დი 9. ოპერაციებთან ერთად. შესხურების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ნიადაგის დამუშავება დაუშვებელია.	მაისი, ივნისი
6.	მიკროელემენტების შემცველი სასუქის (ნუტრივანტი სიმინდის 5-34-5+3,4% ZH+TE 3-5 კგ/ჰა) შესხურება ჰერბიციდებთან ერთად. მათი გამოყენება შეიძლება ჰერბიციდის გარეშეც, ვეგეტაციის პერიოდში 2-3-ჯერ 2 კვირის ინტერვალით. ეს სასუქები ზრდის ჰერბიციდის ეფექტს, მცენარეს უხსნის ჰერბიციდისგან გამოწვეულ სტრესს და ახდენს მცენარის ფოთლოვან გამოკვებას დაბალანსებული მიკრო და მაკროელემენტებით.	მაისი, ივნისი
7.	ნათესის პირველი კულტივაცია ამონიუმის გვარჯილას (200კგ/ჰა) შეტანასთან ერთად მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში.	მაისი, ივნისი
8.	ნათესის მეორე კულტივაცია პირველი კულტივაციიდან 12-14 დღის შემდეგ ამონიუმის გვარჯილის შეტანასთან ერთად (200კგ. გვარჯილა ჰა-ზე.)	ივნისი
9.	საჭიროების შემთხვევაში მავნებლების (ფარვანა, ხვატარები და სხვა) წინააღმდეგ ინსექტიციდის (ფასტაკი, შეპრა, დეცისი ან სხვა 200მლ/ჰა-ზე) შესხურება მავნებლების გამოჩენისთანავე.	ივნისი
10.	მორწყვა. დასავლეთ საქართველოში გვალვიან წლებში სიმინდისთვის საჭიროა ერთი ან ორი მორწყვა. ორი მორწყვის შემთხვევაში პირველი ტარდება ქუჩუჩოს ამოღებამდე ერთი კვირით ადრე, ხოლო მეორე მარცვლის გავსების ფაზაში.	ივლისი, აგვისტო
11.	მარცვლის მოსავლის აღება.	სექტემბერი
12.	მარცვლის გაშრობა სპეციალურ საშრობში, დასაწყობება.	ლომთაგორა აბაშა, ლაგოდეხი



აღმოსავლეთ სსპარტოველო

№	ჩასატარებელი ღონისძიება	ჩატარების ვადა
1.	წინამდებარე კულტურის მოსავლის აღებისთანავე ნანვერალის აჩეჩვა მძიმე დისკოებიანი ფარცხით.	VIII
2.	ნანვერალზე ტოტალური ჰერბიციდის (ნოკდაუნი - 4-6ლ/ჰა; ტორნადო 2-3ლ/ჰა; რაუნდაპი ან სხვა „გლიფოსატი“-ს მოქმედი ნივთიერების შემცველობით) შესხურება სარეველების 10-15სმ. სიმაღლის ფაზაში.	აგვისტო
3.	რთული მინერალური სასუქის (სავარაუდო დოზა N 160-180; P80-120; K30-45 კგ/ჰა. (ზოგიერთ რეგიონში გასათვალისწინებელია კალიუმის ნიადაგიდან ათვისების უნარი) მოქმედი ნივთიერების სახით) შეტანა ნიადაგის მზრალად ხვნის ან სიმინდის თესვის დროს. კონკრეტულ შემთხვევაში ნორმა ზუსტდება ნიადაგის ნაყოფიერების, ნიადაგში არსებული და მცენარის მიერ ნიადაგიდან მოსავლით გამოტანილი საკვები ელემენტების და დაგეგმილი მოსავლის რაოდენობის გათვალისწინებით. (რეკომენდებულია დაიგეგმოს მაკრო-ელემენტების შეტანის ზოგადი ფორმულირება N <sub>20-25</sub> P <sub>8-12</sub> K <sub>20-25</sub> სუფთა ერთეულის (ს.ე.) გამოყენება ერთი ტონა მარცვლის მისაღებად).	ოქტომბერი, ნოემბერი
4.	ნიადაგის მზრალად მოხვნა 30-35 სმ-ის სიღრმეზე ღრმადგამაფხვიერებელი აგრეგატებით. ღრმად გაფხვიერებულ ნიადაგში უმჯობესდება ჰაერაცია და წყლის რეჟიმი, იზრდება ტენეტევალობა, მიკრობიოლოგიური პროცესების ცხოველმყოფელობა და მცენარეს ექმნება ზრდა-განვითარების უკეთესი პირობები. ამავდროს საჭირო არ არის სახნავი გუთნით ნალარად ან ნაზურგად ხვნის მსგავსად საქცევის პროცესში აგრეგატის უქმი სვლები, რაც უზრუნველყოფს დროსა და სანვავის ეკონომიას, მცირდება წყლისმიერი და ქარსმიერი ეროზიული პროცესების ინტენსივობა.	აპრილი, 15 მაისი
5.	მზრალის პირველი კულტივაცია სარეველების აღმოცენებისთანავე 8-10სმ-ის სიღრმეზე. არ უნდა დაფუშვთ სარეველების გადაზრდა, რადგან ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება მზრალის გადახვნა, რაც როგორც აგრონომიულ, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით დაუშვებელია.	მარტი, აპრილი
6.	მზრალის მეორე კულტივაცია დაფარცხვით ან დაფრეზვა თესვამდე 3-4 დღით ადრე 6-8 სმ-ის სიღრმეზე.	აპრილი
7.	თესვა. აღმოსავლეთ საქართველოში რეკომენდებულია „ლომთაგორა-1“-ის და „ლომთაგორა-3“-ის თესვა. გარე ეფექტის გარზრდის და მწკრივთაშორისების დამუშავების გადაადგილების მიზნით, თესვა უნდა ჩატარდეს 75სმ. მწკრივთაშორისებით. ამ ჰიბრიდების დგომის ოპტიმალური სიხშირეა მაშინ, როცა მოსავლის აღების დროს ნათესებში შენარჩუნებულია „ლომთაგორა-1“-ის 50-55, ხოლო „ლომთაგორა-3“-ის 40-45 ათასი მცენარე ჰექტარზე. აღნიშნული სიხშირის მისაღწევად საჭიროა თესლი იყოს I კლასის, ფუნგიციდით დამუშავებული და ჰექტარზე დაითესოს ლომთაგორა „ლომთაგორა-1“-ის 72-75 ათასი მარცვალი, ხოლო „ლომთაგორა-3“-ის 68-70 ათასი მარცვალი. მწკრივში მარცვლებს შორის მანძილი უნდა იყოს, პირველ შემთხვევაში 18-19სმ. მეორე შემთხვევაში 19-20სმ. თესვასთან ერთად ნიადაგში უნდა შევიტანოთ დაგეგმილი სასუქების ზღვრული ოდენობა, ხოლო ნიადაგის მავნებლებისგან (მახრა, მავთულა ჭია და სხვა) ნიადაგის მკვეთრად და ზიანების საშიშროების შემთხვევაში ნიადაგის ინსექტიციდი რეგენტი - 4-5კგ/ჰა-ზე (სათესებზე მიკროგრანულატორების გამოყენებით), თუ ვერ მოხერხდა აღნიშნულის განხორციელება, მაშინ მომხმარებელმა უნდა მიმართოს კომპანია „ლომთაგორა“-ს თესლის გადაამუშავებელ ქარხანას, რომელიც სპეციალური დაკვეთით დაუშუშავებს სათესლე მასალას (უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით).	20 აპრილი, 10 მაისი
8.	ჰერბიციდების (ნიკოფთრონი - 1-1,5ლ/ჰა; პილოტი 60გ/ჰა; ნიკოში-1-1,5ლ/ჰა; სტელლარ 1-1,5ლ/ჰა; მაისი - 50გ/ჰა ან სხვა) შეტანა სიმინდის მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში. აღნიშნული ზოგიერთ ჰერბიციდი დამატებით საჭიროებს ბრტყელფოთლიანი სარეველების სანინალმდეგოდ მოქმედ ჰერბიციდის დამატებას. აღნიშნულ ოპერაციის ჩატარება რეკომენდირებულია 9. და 12. ოპერაციებთან ერთად. შესხურების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ნიადაგის დამუშავება დაუშვებელია.	მაისი, ივნისი
9.	მიკროელემენტების შემცველი სასუქის (ნუტრივანტი სიმინდის 5-34-5+3,4% ZH+TE 3-5 კგ/ჰა) შესხურება ჰერბიციდებთან ერთად. მათი გამოყენება შეიძლება ჰერბიციდის გარეშეც, ვეგეტაციის პერიოდში 2-3-ჯერ 2 კვირის ინტერვალით. ეს სასუქები ზრდის ჰერბიციდის ეფექტს, მცენარეს უხსნის ჰერბიციდისგან გამოწვეულ სტრესს და ახდენს მცენარის ფოთლოვან გამოკვებას დაბალანსებული მიკრო და მაკროელემენტებით.	მაისი, ივნისი
10.	ნათესის პირველი კულტივაცია ამონიუმის გვარჯილას (200კგ/ჰა ფიზიკური წონით) შეტანით მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში.	მაისი, ივნისი
11.	ნათესის მეორე კულტივაცია პირველი კულტივაციიდან 12-14 დღის შემდეგ. სარწყავ პირობებში მეორე კულტივაცია უნდა შეიცვალოს მწკრივთაშორის დაბადობით, რაც აადვილებს მორწყვას. ამ სამუშაოს უნდა დაუკავშიროთ ნათესის მეორე გამოკვება (200კგ. გვარჯილა ჰა-ზე).	ივნისი
12.	საჭიროების შემთხვევაში მავნებლების (ხვატარი, ფარვანა და სხვა) წინააღმდეგ ინსექტიციდის (ალპაკი, კრალი, ფასტაკი, დეცისი, სეპრა ან სხვა ანალოგი 200მლ/ჰა-ზე) შესხურება მავნებლის გამოჩენისთანავე.	ივნისი
13.	მორწყვა. აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე თუ სიმინდის თესვის დროს ნიადაგი გამომშრალია და საკმარისი ტენი არ არის აღმოცენებისათვის, დათესვისთანავე უნდა დაიჭრას სარწყავი კვლები და ნათესი დაუყოვნებლივ მოიწყვას. სავეგეტაციო მორწყვა ტარდება ამინდის პირობების და მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით. პირველი სავეგეტაციო მორწყვა უნდა ჩატარდეს სიმინდის მცენარის 10-12 ფოთლის ფაზაში, მეორე - ყვავილობის დროს, ხოლო მესამე - მარცვლის რძისებრი სიმწიფის ფაზაში. მორწყვა ტარდება გაუონვის წესით ყველა მწკრივთაშორისში წყლის მიშვებით. მწკრივთაშორის წინასწარ გაკეთებული კვლები საშუალებას იძლევა სარწყავად გამოვიყენოთ მილაკსიფონები, რომლებიც თითოეულ კვალს აწვდის ზუსტად გათვალისწინებულ წყლის რაოდენობას. რწყვის ეფექტი მაღალია დაწვიმებით მორწყვის დროს.	ივნისი, ივლისი, აგვისტო
14.	მარცვლის მოსავლის აღება.	სექტემბერი
15.	მარცვლის გაშრობა და დასაწყობება სპეციალურ საშრობში.	ლომთაგორა აბაშა, ლაგოდეხი

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია ეკოლოგიურად სუფთა სიმინდის „ლომთაგორა 1“-ის 8-10 ტონა მარცვლის და 50-70 ტონა სასილოსე მასის მისაღებად.

აღნიშნული რეკომენდაცია მომზადდა აგრო-სამეცნიერო ჯგუფ „ლომთაგორას“ მეცნიერთა მიერ. 2015 წელი.



# მიწის ბალანსი და მიწის კადასტრი

**პრესაში თუ საჯარო გამოსვლების დროს ხშირად ერთმანეთში ერევათ ორი მთავარ მნიშვნელოვანი ცნება „მიწის ბალანსი“ და „მიწის კადასტრი“. სამეცნიეროდ, ასეთ შეცდომას ხშირად სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკები და საკმაოდ მაღალი რანგის ჩინოვნიკებიც უშვებენ, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ საკითხზე განმარტება გვეთხოვა საქცილისტივისტივის – ბატონ ანზორ მისხივილისა და ბატონ პაატა კოლუაშვილისთვის, რათა კიდევ ერთხელ განვმარტოთ დაინტერესებული მკითხველისთვის, რა არის მიწის ბალანსი და რა – მიწის კადასტრი.**

– მიწის ბალანსი ანუ მიწის აღრიცხვა არის მიწის ფართობების დადგენა მიწის დანიშნულების, კატეგორიებისა და მესაკუთრეების მიხედვით. მაგალითად, მიწის ბალანსი თეთრიწყაროს რაიონში აზუსტებს და აღრიცხავს რაიონის მთლიან ფართობს, მათ შორის რამდენი ჰექტარია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები კატეგორიების მიხედვით (სახნავი, სათიბი, საძოვარი, მრავალწლიანი ნარგავები: ვენახი, ხილის ბაღი და სხვა), არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებს, ტყის ფონდის მიწებს, წყლის ფონდის მიწებს და სხვა მიწებს მესაკუთრეების მიხედვით, რის შემდეგაც დგება რაიონის მიწის ბალანსი. მიწის ბალანსი ცვალებადია. მისი დაზუსტება უნდა ხდებოდეს ყოველწლიურად, რადგან შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გადავიდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად. სათიბი სახნავში, საძოვარი სათიბში, მრავალწლიანი ნარგავები სახნავში და პირიქით. სახელმწიფო საკუთრების მიწები გახდეს კერძო საკუთრებად ან მუნიციპალურ საკუთრებად.

საქართველოს თითოეული რაიონის მიხედვით გაკეთებული მიწის აღრიცხვა მიწის ბალანსის (ინვენტარიზაცია) საფუძველზე კეთდება საქართველოს მიწის ბალანსი.

მიწის ბალანსში აისახება წლის განმავლობაში მიწის კატეგორიებში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში და საკუთრება-სარგებლობაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები.

მიწის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ

ცვლილებას, მათ შორის ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზების და სხვა საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებას და ა.შ., რაც მიწის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

მიწის კადასტრი არის მიწის ფართობის დადგენა გეოგრაფიული, იურიდიული და ფიზიკური მდგომარეობით. მიწის კადასტრი არის საინფორმაციო სისტემა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: რუკების ან გეგმების რიგისგან, რომლებიც ტექსტურ ჩანაწერთან ერთად მიწის ყველა ატრიბუტის აღწერით გვიჩვენებენ თითოეული ნაკვეთის ზომასა და ადგილმდებარეობას.

კადასტრი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს რისამე აღწერას, რისამე შესახებ არსებულ მონაცემთა კრებულს, ამა თუ იმ ბუნებრივი ობიექტების შესახებ ძირითადი მონაცემების სისტემატიზებულ ერთობლიობას. არსებობს მიწის (უძრავი ქონების), წყლის, ტყის, ნიაღის და სხვა სახის კადასტრები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებულია მიწის კადასტრის წარმოების საფუძველები, რომელიც დათარიღებულია 3000-4000 წლით ჩვენს წელთაღრიცხვამდე. თურქეთში ინახება თიხის ფირფიტებზე აღნიშნული უძველესი კადასტრული რუქა. მესამე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომის იმპერიაში ხდებოდა მიწის აღრიცხვა. ევროპის ქვეყნებში მიწის კადასტრის წარმოება დაიწყო მე-8 საუკუნეში. საქართველოში საკადასტრო სამუშაოები ჩატარდა მე-13 საუკუნეში მონღოლ-

ბის მიერ მოსახლეობის ხარკის გასაწერად. მე-18 საუკუნის დასაწყისში – 1705-1709 წლებში დაწერილ ვახტანგ VI სამართლის წიგნში მოცემულია მიწის კადასტრი.

მიწის კადასტრი არის საინფორმაციო სისტემა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: რუკების ან გეგმების რიგისგან, რომლებიც ტექსტურ ჩანაწერთან ერთად მიწის ყველა ატრიბუტის აღწერით გვიჩვენებს თითოეული ნაკვეთის ზომასა და ადგილმდებარეობას. იგი მიწის რეგისტრაციის სისტემისგან იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია მხოლოდ საკუთრებასთან.

ორივემ – კადასტრმა და მიწის რეგისტრაციამ – უნდა იმოქმედონ მკაცრი იურიდიულ ჩარჩოში, მაგრამ მიწის რეგისტრირებაში პრაქტიკულად შეიძლება არ ჩაინეროს ქვეყანაში არსებული ყველა მიწის ნაკვეთი, ვინაიდან შესაძლოა ყველა მოქალაქეს არ სურდეს თავისი მიწის დარეგისტრირება. გარდა ამისა, მიწის რეგისტრაციის ახალი სისტემის დანერგვისას რესურსების საუკეთესოდ გამოყენების მაქსიმალიზაციისთვის შეიძლება შერჩეულ ფართობებს მიენიჭოთ პრიორიტეტი, ხოლო სხვა ფართობები გამოირიცხოს/ამოღებულ იქნეს.

მიუხედავად ამისა, კადასტრი დაფუძნებული უნდა იყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ვინაიდან მისი გამოყენება შეიძლება მიწის დაბეგვის მიზნით. საკადასტრო აგეგმვები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწის რეგისტრაციის სისტემის ხელშეწყობისთვის. მრავალ ქვეყანაში ტერმინი „საკადასტრო აგეგმვა“ გამოიყენება საკუთრების ჩანაწერების მიზნებისათვის მიწის აგეგმვის აღსანიშნად.

მაგალითად, ფინეთსა და შვედეთში ყველაფერი – უძრავი ქონების ფორმირება, მუტაცია, მიწის კონსოლიდაცია, საკადასტრო რუკების შედგენა, უძრავი ქონების რეგისტრაცია, მესაკუთრეობა და იურიდიული უფლებები, უძრავი ქონების შეფასება და დაბეგვრა, კომპინირებულია ერთ ძირითად საკადასტრო სისტემაში. მიუხედავად ამისა, ევროპის



მრავალ ქვეყანაში კადასტრი წარმოიშვა და განვითარდა, როგორც მიწის დაბეგვრის ხელშემწყობი სისტემა მაშინ, როცა მიწის რეგისტრაციის იურიდიულ პროცესებს განაგებდნენ ცალკეული იურისტები და ჩანაწერები კეთდებოდა საადგილმამულო წიგნში.

აქედან გამომდინარე, წარმოიშვა ორმაგი სისტემები და ისინი – როგორც მიწის რეფორმის პროგრამის ნაწილი – ხელახლა შემოღებულ იქნა აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. მიწით სარგებლობის უფლებები ინერება რეფორმირებულ საკადასტრო სისტემაში, ხოლო საკუთრების უფლებები მუშავდება ტრადიციულ სანოტარო სისტემაში. ამას მიყვარათ ძალისხმევის დუბლირებასთან და მიწის ადმინისტრირების უფრო რთულ პროცესთან, რაც სხვა შემთხვევაში საჭირო არ იქნებოდა. გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია ამ ორი სხვადასხვა სისტემის ერთ მთლიან სისტემაში გაერთიანება.

სხვადასხვა ქვეყნები ტერმინს „კადასტრი“ სხვადასხვაგვარად აღიქვამენ, რამაც სისტემების ანალიზის დროს შესაძლოა დიდ გაუგებრობამდე მიგვიყვანოს. საერთო გაგებით, კადასტრი არის მიწის საინფორმაციო სისტემის ფორმა. ტერმინი „მიწის საინფორმაციო სისტემა“ გამოიყენება მთელი რიგი სივრცითი ინფორმაციისთვის როგორც გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე ინფრასტრუქტურის სისტემებთან და კადასტრთან დაკავშირებული მონაცემებისთვის.

მიწის საინფორმაციო სისტემა იურიდიული, ფისკალური თუ მრავალმიზნობრივი კადასტრისაგან განსხვავებით აუცილებელი არაა დაფუძნებული იყოს მიწის ნაკვეთზე. ამის ნაცვლად იგი შეიძლება იყოს სატყეო რესურსების, ნიადაგებისა თუ გეოლოგიის აღწერა და აერთიანებდეს სხვადასხვა ტიპის მონაცემებს. კადასტრი კი უფრო სპეციფიკურადაა ფოკუსირებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაზე, ღირებულებასა და სარგებლობაზე.

საკადასტრო მონაცემები მოიცავს: გეომეტრიულ მონაცემებს (კოორდინატებს, რუკებს); საკუთრების მისამართებს; მიწათსარგებლობას; ინფორმაციას უძრავი ქონების შესახებ; სარგებლობის ფორმას და ხანგრძლივობას (პერიოდს); დეტალებს შენობებისა და ბინების კონსტრუქციის შესახებ; მოსახლეობას; მიწის დაბეგვრის ღირებულებას. მონაცემები შეიძლება უკავშირდებოდეს მიწის ცალკეულ ნაკვეთს ან მოიცავდეს სხვადასხვა საკუთრებას, როგორც მიწათსარგებლობის ზონებზე დაყოფაში გვხვდება. მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწის კერძო ტრანზაქციების, მიწის ბაზრის განვითარების ხელშესაწყობად ან ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების ადმინისტრირების დასახმარებლად, როგორც სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, განსახლება, მიწათსარგებლობის მართვა-მენეჯმენტი და ზონებზე დაყოფა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, ტრანსპორტი.

კადასტრი მიწის რეგისტრაციის მსგავსია იმით, რომ იგი შეიცავს მიწაზე ჩანაწერების ნაკრებს. კადასტრი ეფუძნება საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს მფლობელობით განსაზღვრულ ფართობს ან დასაბეგრ მიწის ფართობს, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობსაგან; ან მიწათსარგებლობას და არა მიწის საკუთრებით განსაზღვრულ ფართობს. კადასტრს შეუძლია ხელი შეუწყოს საკუთრების უფლებათა ჩანაწერების, მიწის დაბეგვრის ან მიწათსარგებლობის ჩანაწერების წარმოებას.

გარდა ამისა, კადასტრი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მრავალმიზნობრივი დანიშნულებით მიწასთან დაკავშირებული მრავალმიზნობრივი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად. ასეთ შემთხვევებში უმჯობესია, თუ კადასტრი აგებულია მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გარშემო, ვინაიდან ეს არის მიწაზე ყველაზე ადვილი გარიგების იურიდიული საფუძველი. როდესაც საკუთრება ჯერ არ არის დამტკიცებული ანუ იმ შემთხვევაში, როცა მიწა უბრუნდება ყოფილ მესაკუთრეს, ამგვარი მრავალმიზნობრივი ჩანაწერები შეიძლება აგებული იქნეს მიწის ნაკვეთის გარშემო, რაც სარგებლობის უფლებითაა განსაზღვრული.

გარდაამავალ ეტაპზე მყოფ რამდენიმე ქვეყანაში არსებობდა როგორც სხვადასხვა სახის კადასტრი: სასოფლო-სამეურნეო, სატყეო მიწების, მევენახეობის, წყლის რესურსებისთვის და ა.შ., ისე, „ერთიანი“ კადასტრი, რომელიც ცდილობდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მონაცემთა ინტეგრირებას. ხშირად ასეთი სახის კადასტრების დასახმარებლად მზადდებოდა გაცილებით მცირე მასშტაბის რუკები, ვიდრე ამჟამად საჭიროა ფისკალური თუ იურიდიული მიზნებისთვის.

მიწის სავარგულების აღრიცხვა საქართველოში გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო გაუს-კრიუგერის კოორდინატთა სისტემით სხვადასხვა მასშტაბის გეგმებზე მიწისზედა მენზურული გადაღებებისა და აეროფოტოგადაღების გეგმებით. ერთიანი სახელმწიფო აღრიცხვის სამუშაოები ძირითადად დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ.

თანამედროვე საკადასტრო სამუშაოები საქართველოში დაიწყო გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, საპაერთო ფოტოგადაღებებისა და მსხვილმასშტაბიანი გეგმების შედგენის საფუძველზე. 2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მიწისტრთა კაბინეტს.

სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც 2004 წელს მთავრობის მიერ ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, აღარ ხდება მიწების აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასაოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალური თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით. საყურადღებოა, რომ მიწის ბალანსი მოიცავდა მონაცემებს დასავლეთ საქართველოში მიწების მეორადი დაჭაობების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში – გაუდაბნოების, ეროზირებული, დამლაშებული და სასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-



ლების მიწებთან დაკავშირებული სხვა არასასურველი პროცესების შესახებ. უკანასკნელ პერიოდში ეს პროცესები, ბუნებრივია, უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა, მაგრამ თუ რა მდგომარეობაა დღეს ამ მიმართულებით, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის სათანადო მონაცემების არარსებობის გამო.

საქართველოს ძირითადი ნივთობრივი სიმდიდრის ყოველწლიურ ბალანსში მინა აღირიცხებოდა დანიშნულებისა და კატეგორიების, აგრეთვე საკუთრებისა და სარგებლობის ფორმების მიხედვით. მასში აისახებოდა წლის განმავლობაში მინის კატეგორიებში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებში და საკუთრება-სარგებლობაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები. მინის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებული სამინისტროების და უწყებების მიერ და მტკიცდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწების უფრო რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

მინის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მინის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის ინტენსიური

და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზების და სხვა საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მინის ჩანაცვლებას და ა.შ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის მთლიანი ფართობი შეადგენდა მხოლოდ 838,0 ათას ჰექტარს, როდესაც 2004 წლის მდგომარეობით 3025,8 ათას ჰექტარს შეადგენდა. ამის შესახებ ქვეყანაში შეშფოთება არავის გამოუნატავს, მაგრამ გაცემა ვერ დამალა გაეროს შესაბამისმა სამსახურმა, რის შესახებაც წერილობით აცნობა ჩვენი ქვეყნის მთავრობას და მოითხოვა შესაბამისი ახსნა 2 მლნ. ჰა-ზე მეტი ფართობის „გაქრობის“ შესახებ. 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მთლიანი ფართობი შეადგენდა 7 628 000 ჰა. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულია 3 026 300 ჰა, სახნავია 802 100 ჰა, მრავალწლიანი ნარგავებია 264 000 ჰა, სათიბია 143 500 ჰა. საძოვარია 1 796 600 ჰა, ტყეა 2 838 300 ჰა, წყლით დაკავებული მიწებია 876 500 ჰა.

საქართველოს მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამინათმონყობო ინსტიტუტი და ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევის და სხვა მიმდინარე სამუშაოები. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მინათმომწყობთა კადრების გამოშვება. ჩვენი აზრით, საქართველოს მინის ფართობების აღრიცხვის უგულებელყოფა სახელმწიფოებრივი დანაშაულია და მომავალი თაობა ამას არ გვაპატიებს.

გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეკონომიკური ეფექტის მიღება შეუძლებელი იქნება მინის კადასტრის, მინის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის, მინაზე მონიტორინგის და მინის სათანადო დაცვის გარეშე. ამ მიზნით მიგვაჩნია, რომ საჭიროა ქვეყანაში დროულად შეიქმნას მძლავრი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მინის კადასტრის, მინის აღრიცხვის, მინის რაციონალურ გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია დაეკისრება.

მიხართვა

# საქართველოს მიწა განსაცდელშია!

**საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია ქართველი ხალხის ორბანული სოციალურ-ეკონომიკური, დამოუკიდებელი, ეთნო-ფსიქოლოგიური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.**

მიწა ერისთვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

ქართველი ერის სიცოცხლე განუყოფელია საქართველოს მიწისგან. ვერც დიასპორის სახით, ვერც საკუთარ ქვეყანაში უმცირესობის სახით ქართველი ერი ვერ იარსებებს. ამას ობიექტური მიზეზები აქვს:

1. ქართველმა ერმა იცის, რომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მისი სამოსახლო მიწა-წყალი დედამიწაზე ერთ-ერთი საუკეთესოა, მის მეზობლობაში კი – ყველაზე საუკეთესო. ეს ქართველს ანიჭებს იმის განცდას (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მის მიერ გაღებული მსხვერპლი ამ მიწის შესანარჩუნებლად უაზრო არ არის: იგი თავის შთამომავლობას დანარჩენ კაცობრიობასთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ ასეთი მოარული ფრაზები როგორცაა „მშვენიერი საქართველო“, „ტურფა საქართ-





ველო“, „ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტო ჩემო სამშობლო მხარეო“, „ქართულზე უკეთეს ხილს ვერსად შეჭამ“, „აქაურზე უკეთეს წყალს ვერსად დაღევ“, „ჩვენზე უკეთესი საღვინე ყურძენი არსად მოდის“ და ა.შ. მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის. ქართველმა კაცმა ისტორიულად იცის, რომ საქართველოს მიწის დაკარგვით იგი და მისი შთამომავლობა მომავალს კარგავენ.

II. ქართველმა კაცმა იცის, რომ საქართველოს სამხედრო თვალსაზრისით, კულტურული თვალსაზრისით, მორალური თვალსაზრისით, ზოგადად – მოსახლეობის ხარისხის თვალსაზრისით, აგრეთვე საკუთარი ცხოვრების მონყობის ნიჭის თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი უჭირავს. ამაში მას ეგულება ერთ-ერთი უპირატესობა, რომელსაც იგი თავის შთამომავლობას უტოვებს. ქართველმა იცის (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მისი ერის მაღალი ხარისხი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი ქვეყნის ბუნებრივი მახასიათებლებით (მაგალითად, ყველას ესმის, რომ ადამიანი, რომელსაც თვეში ერთხელ მაინც მთაზე შედგომა და ქვეყნის გადახედვა უნევს, უფრო მეტად არის აღჭურვილი წარმოსახვითა და აქტიური აზროვნების უნარით, ვიდრე ის, ვინც ტრამაში ცხოვრობს).

აზროვნების აქტიურობა, რაც ადამიანს ბავშვობიდან უწვითარდება, როგორც ცნობილია, დიდი ფაქტორია მისი შემოქმედებითი აქტიურობისთვის, შრომისა და შემოქმედების ყველა დარგში.

III. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის მრავალგვარობა ქართველ კაცს (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც) ანიჭებს იმის განცდას, რომ მასაც და მის მოდემსაც უნარი აქვთ სრულფასოვნად იშრომონ და იბრძოლონ ყველანიერ ექსტრემალურ პირობებში – სიცხეშიც და ყინვაშიც, მთაშიც და ბარშიც, წყალშიც და ხმელეთზეც. ამდენად, საქართველოს მიწა-წყალი ქართველს უღირს სხვა ყოველივესთან ერთად, როგორც თაობათა აღზრდის ოპტიმალური ბაზა – საქართველოს ბუნება ადამიანს არც ანაზებს, არც გაუსაძლისი პირობებით ჩაგრავს. იგი მას განვითარების საუკეთესო პირობებს უქმნის.

საქართველოს კანონმდებელს არ აქვს უფლება ქართველი ერის (საქართველოს მოქალაქეთა კრებულის) ამ ბედნიერ მემკვიდრეობას, მის წინაპართა სისხლით დაცულს თუნდაც ერთი გოჯი მოაკლოს. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, როგორც საცხოვრისის ისტორიულად ჰარმონიზებული ერთიანი სისტემა, ვერ იფუნქციებს მისი ნაწილ-ნაწილ ხელყოფის (გასხვისების) შემთხვევაში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ერისთვის არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებებიდან, არც მისდამი საზოგადოებრივი ინტერესებიდან და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამონურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუშუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და, აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. დედამიწაზე იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა (დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით). სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება ისტორიას ბარდება.



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უმეტეს ქვეყნებში ყველაზე მკაცრი შეზღუდვები წესდება იურიდიული პირების მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვაზე. ეს რომ ასე არ იყოს, მსოფლიოს ნებისმიერი მდიდარი კომპანია რამდენსამე წუთში შეისყიდის გაჭირვებული მცირე ქვეყნის სავარგულებს მთლიანად.

ზოგჯერ არსებობს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიწის გასხვისებაზე სპეციალური, დამატებითი ნებართვის მიღების შემთხვევითი პროცედურა, ხოლო ზოგ შემთხვევაში, ქონების შესყიდვაზე პირდაპირი აკრძალვებიც.

საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს და

– უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გათვლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრწუდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

– იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება. თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფო, თურქეთი, ირანი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ქარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. ამ ქვეყნების დემოგრაფიული და ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში ჩვენთვის ტრაგიკულად შეცვლის პროგნოზს. უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.

დღეს საქართველოს სასიკვდილო საფრთხე ემუქრება. მის ძირითად სიმდიდრეს – მის მიწას – უპასუხიმგებლო ადამიანები უცხოელებზე გაყიდვას უპირებენ. საქართველოს კანონმდებელი იმის უშუალო ცდუნების წინაშე დგანს, რომ საარაკო ღალატი ჩაიდინონ და ახალი კანონპროექტის თანახმად, ჩვენი მიწის განიავების იურიდიული პირობები შექმნან. ძალიან მოკლედ მოგახსენებთ საქმის ვითარებას.

საქართველოს უპასუხიმგებლო და უმეცარმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს გააუქმა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელ



„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის სასიცოცხლო და საარსებო ბაზა ან და მარადის – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გალატაკების ფონზე მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების უცხოელ მსურველებთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარალელურად, სხვა არა არის რა და სხვა ვერა იქნება რა, თუ არა საქართველოს დემოგრაფიული დექარტევილიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ.

კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტში ქართული საზოგადოების „ზურგს უკან შევიდა“. მისი საჯარო განხილვა არ მომხდარა. საზოგადოებამ კანონპროექტზე მსჯელობა დაიწყო მას შემდეგ, რაც მისი ტექსტი საქართველოს პარლამენტის ელექტრონულ გვერდზე დაიდო. კანონპროექტმა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა როგორც აკადემიურ წრეებში, ისე ფართო საზოგადოებაში. მასზე არც ერთი დადებითი გამოხმაურება არ ყოფილა საჯარო სივრცეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტში (არც მის „ალტერნატიულ ვარიანტში,“ რომელიც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტშია შემუშავებული) არ ჩანს მთავრობის ხედვა და სტრატეგია სასოფლო-სამეურნეო მიწის მიმართ. ასევე, არ ჩანს, ანალიზზე დაფუძნებულ რა გამოწვევებს და მიზნებს პასუხობს იგი.

სახელმწიფო პოლიტიკა უდავოდ უნდა უზრუნველყოფდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ეფექტურ გამოყენებას, თუმცა ეს მიღწეული უნდა იყოს არა მესაკუთრეობაზე შეზღუდვებით, არამედ მიწათსარგებლობის მონიტორინგის საშუალებით, რისთვისაც შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებები იქნება საჭირო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მიწათსარგებლობის მონაცემთა განახლებადი ბაზის შექმნას, ასევე მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეფექტური სისტემის ფუნქციონირებას. თუ პარლამენტი ეცდება ის სულისკვეთება გადაიტანოს ოფიციალურ ვერსიაში, რომელიც სამუშაო ვარიანტშია და რომელიც იურიდიული პირების ინტერესების ლობირებითაა გაფლენილი, ეს იქნება ქართველი ხალხის მოტყუების მცდელობა. ეს არ გამოვა.

არ არის საკმარისი, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს თანამედროვეობასთან მორგებულად ჩამოყალიბ-

ებული გრძელი რიგი ცვლილებებისა. აუცილებელია, რომ კანონში უკვე არსებული სწორი განსაზღვრებები და ახალი, რომლებსაც დრო მოითხოვს, აწყობილ იქნეს ახალ სისტემად, რომელიც აგებული იქნება ამოცანათა დღევანდელ რუკაში არსებულ პროპორციათა გათვალისწინებით, მათი სიმწვავისა და მნიშვნელობის მიხედვით. ამ ამოცანის გადაჭრას სჭირდება, პრაქტიკულად, მიწათსარგებლობის ახალი კანონის (კოდექსი) მიღება (და არა ძველის ჩასწორება). საქართველოს პარლამენტის ნევრებმა მხარი არ უნდა დაუჭირონ ქართული მიწის განთავისებების დამდგენი კანონის მიღებას.

ამ სასიცოცხლო თემაზე საზოგადოებამ უნდა იცოდეს შემდეგი:

– საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისათვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გამოცდილების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისათვის.

– საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების შთამომავლობა დაიცვას არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური, ეპიდემიური და სხვა მასობრივი კატასტროფებისაგან, არამედ სასურსათოსგანაც (ანუ სტაბილური და მასობრივი შიმშილობისაგან) – კონკრეტულად, მას მუდმივად და უცვლელად უნდა ჰქონდეს ხელთ ის მიწა-მაღური რესურსი, რომ თავის მოსახლეობას (ბუნებრივია, მზარდ თაობათა მანძილზე) ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცეს. ამისი ერთადერთი რეალური გზაა თავის მიერ კონტროლირებადი პოტენციალის საზღვრებში შეინარჩუნოს ის საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც საკმარისია, რათა თავის მოქალაქეთა შრომის საჭირო ნაწილი საკვებად მოსახმარ მასალად გარდაქმნას. ასეთი საწარმოო სიმძლავრე, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს და ვერ ექნება, არის მხოლოდ მიწა.

– თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, მაშინ უყოყმანოდ იწინებთ თეორიის მოთხოვნა. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები თრავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ.

– ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უდავო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;

– ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლ-



იქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა;

- მიწა არა მხოლოდ პროდუქციის წარმოების წყაროა, არამედ ქართული მოდემისა და ერის განმტკიცების ფაქტორიც; - ქვეყნის სიძლიერე გლეხკაცის მიწასთან მარადიულ კავშირშია;

- გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქმნელია; - მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლას.

- ისტორიულად, სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხკაცი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც“ იცავდა. თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის – თავისი სახელმწიფოს – დაცვის სახით იცავდა – და იცავს. ეს ბუნებისა და საზოგადოების ურყევი კანონია. ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერება მარადიულია.

- მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფოს ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი. სუვერენია ხალხი (ერი).

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ხალხის (ერის) საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშემგენბა სამართალსუბიექტად მიიჩნეეს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ

ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას.

ფართოდ უნდა გაცხადდეს საქართველოს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ ხელისუფლების განზრახვა უცხოელებისთვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების მიწის მიყიდვისა არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება.

დღეს ქართველმა ერმა მთლიანად იცის, რომ მოცემულ პირობებში ჩვენი მიწის უცხოელებზე განუკითხავი გასხვისება ჩვენი ქვეყნისთვის მავნეა. საქართველოს პარლამენტმა ხელი უნდა აიღოს შემოსული არასასურველი, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულვებელმყოფელი კანონპროექტის განხილვაზე და ორიენტაცია მოახდინოს მიწათსარგებლობის ახალი რეალისტური კანონის შემუშავებაზე უახლოესი თვეების მანძილზე.

ქართულ საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად მართებს, რათა ხელი არ ახლონ ჩვენს მარადიულ სამკვიდრებელს.

*საზოგადოება „საქართველოს მიწის გუშაგი“ სახელით: ბახტაძე დემურ, ბაბუხაძია ანზორ, ბაჩიაშვილი იოსებ, ბოხუა მერაბ, გიორგაძე მამუკა, გოგობია რევაზ, დეკანოზი თევდორე, დეკანოზი როსტომი, დიხამინჯია თენგიზ, ვაჩნაძე მერაბ, ვიბზიბაძე გიორგი, კაციტაძე ჯემალ, კვანჭილაშვილი მალხაზ, მგალობლიშვილი ზაზა, მარგველაშვილი გულნარა, მაქაცარია გურამ, მესხიშვილი ანზორ, მიქელაძე ზურაბ, მურღულია გრიგოლ, ნაჭყეპია ზაურ, უორდანიას ოთარ, რამიშვილი ბადრი, რევიშვილი ზურაბ, სანებლიძე ნიკა, ფალავა ყარამან, ფრუიძე ლევან, ყურაშვილი თამაზ, ცნობილაძე პაატა, ჩაჩუა ლევან, ჩორგოლაშვილი გელა, ჩხეიძე შოთა, ჩიხლაძე ნიკო, ჭიჭაყუა მიხეილ, ჯინჯოლავა ზაურ, ჯოლოხავა დოდო, ჯიბუტი მიხეილ, ნათაძე ნოდარ, კოლუაშვილი პაატა.*

ციფრების ენით

# ერის სატკიპარი

„თუ ამოწმდნს გლეხიკასი საქართველო დაკაზუნდა.“

უსსოვარი დროიდან ქართველ ხალხს მიწათმომქმედების მაღალი კულტურა გააჩნდა და „აბგილის დედის“ სიყვარული კვალ-რგვილში ჰქონდა გამჯდარი. იგი ამ სიყვარულს თაოგიდან თაოგას გადასცემდა. დამყაროვლების წინააღმდეგ ომების მიუხედავად, ცდილოვდა „გვნიდოვნიანი, სულ მცირე პერიოდის კი“ გამოყვანებინა და სათაყვანებელ მიწა-წყალზე უზრუნა, დიდი მატერიალური და სულიერი ფასეულოვანი შეიქმნა.

საქართველოს მოსახლეობა 1254 წელს მონღოლების აღწერის მიხედვით 8 მილიონი ყოფილა. უკვე ოცი წლის შემდეგ გულანთებული ქართველი მემატინე გულისტკივილით მიანიშნებდა, რომ ქართველი ერი დღითიდღე ილევო. ძნელად, მაგრამ დღემდე მანც მოვედით.



ჩვენი თხოვნით დემოგრაფიულ პრობლემებზე სასაუბროდ რედაქციაში გვეწვია დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე.

**– ბატონო ანზორ, მე გულდასმით გავეცანი თქვენს ბოლოდროინდელ წიგნებს საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ და არ დავიძალავთ, მოსვენება დავკარგე. ნუთუ ასეთი მძიმე მდგომარეობაა დღეს საქართველოში?**



– მხოლოდ ფაქტებს მივყვები და თქვენ განსაჯეთ, რეალურია თუ არა ჩემი მოსაზრება როცა ვამბობ, ქვეყნის ფიზიკურ არსებობას საფრთხე ემუქრება! ამისთვის საკითხის განხილვას ცოტა შორიდან დავინყებ.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ საქართველოს მოსახლეობა 1254 წელს იმდროინდელ საზღვრებში მართლაც 8 მილიონი ყოფილა. მონღოლთა ბატონობამ ძალიან მძიმე შედეგები გამოიღო, ქვეყანა აოხრდა და განადგურდა. გარეშე მტერთან გამუდმებულ ომებში ქვეყნის მოსახლეობა, რასაკვირველია, ილეოდა, რასაც ბევრჯერ სამეფოებამ და სამთავროებამ ქვეყნის დაშლის შემდეგ შინა ბრძოლებიც ემატებოდა.

პირსისხლიანმა მტარვალმა თემურ ლენგმა 8-ჯერ დალაშქრა ჩვენი მიწა-წყალი. სადაც ფეხი დადგა, სისხლის გუბებები დააყენა. გარდა ამისა მტერს ხშირად დიდძალი ქართველობა ტყვედ მიჰყავდა. მაგალითად, XVI საუკუნეში შაჰ-თამაზ პირველმა საქართველოში ხუთგზის ლაშქრობის შემდეგ ათასობით ქართველი ირანში ტყვედ წაასხა, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე დიდი უბედურება ქართველ ხალხს შაჰ-აბასმა დაატყხა. მან მთლიანად მოაოხრა და უკაცრიელი გახადა ქართლ-კახეთი. რომ არა ურჯულოების ასეთი გამანადგურებელი ლაშქრობები, სულ სხვაგვარად შეიძლებოდა წარმართულიყო ჩვენი ქვეყნის ისტორია. ბრძოლები-სა და შემოსევების შემდეგ უკვე 1770

წლისათვის მოსახლეობა 761 ათასამდე იყო შემცირებული, ხოლო 1800-1813 წლებში საქართველოში ე.წ. შავი ჭირის ეპიდემიის შედეგად, როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობენ, მოსახლეობა თითქმის განახევრდა. ამ სენამ მარტო ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ იმერეთში 32 750 სული შეინირა, მეზობელ პროვინციებში გაიხიზნა 745 კაცი, ხოლო ტყვედ გაიყიდა 2000 ყმანვილი.

აღნიშნული მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პერიოდში საქართველოში დაახლოებით 400 000-მდე კაცი ცხოვრობდა. ასეთი მცირე რაოდენობით მოსახლეობა საქართველოში მისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა. მაგრამ უკვე რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში იმდროინდელ საზღვრებში 2109 ათასი კაცი ცხოვრობდა და 80 წლის განმავლობაში 5-ჯერ გაიზარდა.

**– როგორია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობის ზრდის დინამიკა 1926-2010 წლებში?**

	1926		2010		მოსახლეობის ზრდის ტემპი 1926-2010 წ. %
საქართველო	2677	35,1	4436	18,9	165,7
აზერბაიჯანი	2315	30,4	8900	38,0	384,4
სომხეთი	881	11,6	3018	12,9	342,6

როგორც ამბობენ ხოლმე – ციფრები თავად ყვირიან ერის სატყვიარზე.

**– საინტერესოა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობის წილი კავკასიის მთელ მოსახლეობაში?**

– საქართველოს მოსახლეობის წილიც თანდათანობით მცირდება. აღსანიშნავია, რომ 1965 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა აჭარბებდა აზერბაიჯანის მოსახლეობას. ამის შემ-

დეგ აზერბაიჯანის მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა და 2009-2010 წლებში უკვე 8900 ათასი კაცი იყო, ხოლო იმავე პერიოდში საქართველოში მხოლოდ 4385 ათასი, ანუ 4,512 ათასი კაცით ნაკლები იყო.

**– როგორია პროგნოზული გაანგარიშება, არავითარ იმედს არ გვეტოვებს?**

– სამწუხაროდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 1170 ათასი კაცით შემცირდება და 3300 ათასი კაცი იქნება. სომხეთის მოსახლეობა 7 პროცენტით მოიმატებს და იქაც 3300 ათასი კაცი იცხოვრებს, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა 9 მილიონიდან 11 მილიონამდე გაიზარდება.

საქართველოში ქართველი ერის პერმანენტული შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე შეექმნება ეროვნულ ინტერესებს და ეროვნული ეკონომიკის განვითარება გაძნელდება, სახელმწიფო ენას უკიდურესად გაუჭირდება თავის ფუნქციის შესრულება, ერისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები თანდათან დაკარგავენ თავიანთ მიმზიდველობას. ასეთ ვითარებაში გარდაუვალად მოსალოდნელია ეროვნული ცნობიერების ცვლილება.

**– ე.ი. ჩვენი ქვეყნისათვის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება განსაკუთრებით საშიშია?**

– რა თქმა უნდა, ეს სიმართლეა, რადგან ჩვენი ქვეყანა უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ინტერესთა გადაკვეთის ნერტილები საკმაოდ ბევრია და ამდენად საკუთარი ინტერესების დაცვა გაძნელდება.

**– საინტერესოა, როგორია ჩვენთან მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა?**

– ბუნებრივი მოძრაობა ძირითადად გულისხმობს შობადობასა და სიკვდილიანობას. არსებული მონაცემებით საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა – 104 ათასი. 1961-1990 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, 1991-2010 წლებში კი საშუალოდ მხოლოდ 55 ათასი დაიბადა. შობადობის განსაკუთრებული შემცირება 1992



წლიდან დაიწყო. მაგალითად, 2005 წელს მხოლოდ 46 ათასი ბავშვი დაიბადა.

აღსანიშნავია, რომ უკვე რამდენიმე წელია მესამე და მეოთხე ბავშვის წილი მთლიანად დაბადებულებში გარკვეულწილად ამაღლდა, რაც, უპირველესად, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II -ის დიდი დამსახურებაა.

**- სოფლად ალბათ უფრო მწვავე მდგომარეობაა შობადობის მხრივ?**

- რასაკვირველია, სოფელში მდგომარეობა გაცილებით მძიმეა ქალაქთან შედარებით. შობადობის შემცირებისა და სიკვდილიანობის მატეების შედეგად საგრძნობლად შემცირდა ბუნებრივი მატეაც. მთელ რიგ რეგიონებში სოფლად გარდაცვლილთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე შობადობა, მხოლოდ აჭარაშია მატეა. დანარჩენ ქართველებით დასახლებულ სოფლებში ყველგან უფრო მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, რაც ძირითადად გამოწვეულია უმუშევრობითა და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების უქონლობით, უკანასკნელ წლებში უაღრესად ინტენსიური გახდა არამარტო გარემოცვა, არამედ შიდამიგრაციული პროცესებიც. 2002 წლის აღწერის მონაცემებით წინა 9 წლის განმავლობაში 437232 პირმა შეიცვალა ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი. ამ რაოდენობიდან 437 ათასი (96,8 პროცენტი) ქართველი იყო. ამრიგად, უნდა ითქვას, რომ სოფლები ქართველი მოსახლეობისგან იცლება. გარდა ამისა, მრავალი სოფელია ისეთი, სადაც თითო-ოროლა ოჯახია დარჩენილი, ზოგან მხოლოდ ერთი ან ორი კაცი ცხოვრობს. ამ პერიოდშივე საქართველოში საცხოვრებელი შეიცვალა 4039 აზერბაიჯანელმა (შიდა მიგრაციის მონაწილე მოსახლეობის მხოლოდ 1 პროცენტი) და 3967 სომეხმა (0,9 პროცენტი). ხომ გასაგებია ყველაფერი?

**- ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე - რას ურჩევდით ხელისუფლებას? მით უმეტეს სურათი მართლაც საგანგაშოა?**

- ქართველი მეფეები და ქართული საზოგადოებაც განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ სოფლის განვითარებისა და აღორძინებისათვის, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის კეთილდღეობა გლეხობაზე იყო დამოკიდებული. მეფე-პოეტ არჩილს გლეხობის ამონყვეტა დიდ ეროვნულ ტრაგედიად მიაჩნდა: „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი საქართველო დაძაბუნ-

და.“ გაუკაცრიელებული („კახეთი იყო უკაცო“) და აოხრებული სოფლების გამო სასონარკვეთილი მეფე თეიმურაზ პირველი კი ამბობდა: „სახელმწიფო დამეკარგაო“. მე-19 საუკუნეში და მე-20-შიც კი თითქმის ყველა გამორჩენილი მეცნიერი, მწერალი, პოეტი, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწე წარმოშობით სოფლიდან იყო. არადა, 2002 წლის აღწერის მონაცემებით 162 სოფელში მოსახლეობა უკვე არ ცხოვრობს.

აქედან გამომდინარე აუცილებელია ყოველმხრივ გააზრებული, აწონილ-დანონილი და ეფექტური დემოგრაფიული ღონისძიებების შემუშავება და რაც მთავარია - უსწრაფესად განხორციელება, რათა ქართული სოფელი ყველა იმ სიკეთით შევინარჩუნოთ, რასაც იგი ქვეყნის ცხოვრებაში ასრულებს და რაც ასე იდეალიზებულია ქართველი ხალხის მიერ. ასე რომ, საქართველოს, როგორც ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ხსნა სოფლის ეკონომიკურ და შესაბამისად მის დემოგრაფიულ აღორძინებაში მდგომარეობს.

**- ამ მხრივ არაფერი კეთდება ქვეყანაში?**

- კიდევ მინდა გავიმეორო, უმწვავესი დემოგრაფიული მდგომარეობაა საქართველოში როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი სოლიდარობა არ იგრძნობა. წლების განმავლობაში არც ხელისუფლება ზრუნავდა ვითარების გამოსწორებისთვის, ამიტომ ყველაფერი მიშვებული იყო...

გადაუჭარბებლად ვამბობ: ძალიან კარგი საქმე გააკეთა ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ. მხედველობაში მყავს პირადად პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი. სწორედ უშუალოდ მისი ინიციატივით ჯანდაცვის ბიუჯეტი ერთ მილიარდამდე გაიზარ-

და, მშობიარობა გახდა უფასო, ასევე 30 პროცენტით გაეზარდათ ხელფასი სოფლის ექიმებსა და ექთნებს. დემოგრაფიული ბალანსის გაუმჯობესების მიზნით იმ რაიონებში, სადაც შობადობის მაჩვენებელი დაბალია, გაიცემა ფინანსური დახმარება ყოველ მესამე და შემდეგ შვილზე. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ კიდევ მეტია გასაკეთებელი. სახელდობრ: აუცილებელია სასწრაფოდ შეიქმნას ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, მართვის სრულყოფილი მექანიზმის გამოყენებით შეიძლება გარკვეულწილად კრიზისის გაღრმავების შეჩერება, შემდგომში კი ვითარების გაუმჯობესება, რასაც ადასტურებს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პრაქტიკა.

ასევე აუცილებლად მიმაჩნია ფიზიკური გადაშენების რეალური საფრთხის წინაშე მდგარი ერის გადარჩენისათვის გამოცხადდეს საგანგებო კრიზისული დემოგრაფიული ვითარება და შემუშავდეს ვითარების განმუხტვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები, სადაც მთავარი აქცენტი მიმართული იქნება შობადობის ამაღლებაზე. ორიენტირი იქნება პირველ რიგში სამბავშვიანი ოჯახი.

და ბოლოს - განვაშს ვტყბთ იმისთვის, რომ საფრთხე ემუქრება ქვეყნის ფიზიკურ არსებობას. ისე, როგორც ყოველგვარი მწვავე პრობლემა, დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაც შესაძლებელია ხელისუფლებისა და ხალხის ერთობლივი ძალისხმევით. ღრმად მწამს, რომ ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს საკუთარი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

*ესაუბრა: ნაზი იმნაიშვილი*



# დავუბრუნოთ ქართულ აბრეშუმს ძველი დიდება, ალვადგინოთ ათასობით ახალი სამუშაო ადგილი

მეზობელ ქვეყნებში, სადა მათი სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია, რომელმაც წარმატებით გააუმჯობესა ქვეყნის ისტორიის მკაცრ ქართუნიზაციას და მხარე სავალდებულო შემოსავლების წყარო გახდა. იგი ჩვენი ერის კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშია, მოსახლეობის მასიური დასაქმების საშუალება, ფულადი შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო და მუდმივი ზრუნვის საგანი. აბრეშუმის პარკის წარმოება, გადამამუშავება და ძსოვა ყველაზე პრესტიჟულ საქმედ ითვლებოდა. მაღალხარისხიანი ქართული აბრეშუმი დიდი პატივით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე, აბრეშუმის დიდი გზა საქართველოზეც გადიოდა



ქართულმა აბრეშუმმა 1850 წელს ტურინის და 1862 წელს ლონდონის საერთაშორისო გამოფენებზე განსაკუთრებული ქება და მედლები დაიმსახურა.

საერთაშორისო გამოფენების ორგანიზატორები ყურადღებას აქცევდნენ აგრეთვე თუთის ნარგავის მოვლა-გაშენების მდგომარეობას. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ ადრე, თითქმის ორი საუკუნის წინათ აღინიშნა ვანელი თავადის – ჩივაძის თუთის პლანტაციების წარმატება ინგლისის საერთაშორისო გამოფენაზე. 1998 წელს თუთის აბრეშუმხევეთა ქართული ჯიშების (მზიური 1 და მზიური 2) ძაფისაგან დამზადებულ ქსოვილს (კომბინატი „ციხარტყელა“) მადრიდის საერთაშორისო გამოფენაზე ევროპის ხარისხის უმაღლესი ჯილდო „პლატინის ვარსკვლავი“ მიენიჭა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში მეაბრეშუმეობის სისტემა მოიცავდა:

- ხუთ საგრენაჟო ქარხანას – 4,5 ტ. გრენის წარმოების სიმძლავრით;
- ხუთ ძაფსახვევ-საგრებ ფაბრიკას – 450-500ტ. ხამი ძაფის წარმოების სიმძლავრით;
- ორ აბრეშუმკომბინატს 4,5-5,0 მილიონი მეტრი ნატურალური აბრეშუმის ქსოვილის წარმოების სიმძლავრით;
- ორ მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგურს – 80,0 კგ სუპერელიტური გრენის წლიური წარმოებით;
- ორ სახელმწიფო საწარმე მეურნეობას – 1,0 მილიონი ძირი ნამყენი წერვის წარმოების სიმძლავრით;
- 42 მეაბრეშუმეობის რაიონულ სათაო პარკსაშრობს 150-ზე მეტი პარკის პირველადი დამუშავების პუნქტით.

ქვეყანაში ირიცხებოდა 8 400 ჰა თუთის პლანტაცია და მილიონობით ძირი ცალკე მდგომი მცენარე. აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ათობით მილიონი მანეთი წარმატებით ავსებდა ქვეყნის ბიუჯეტს. ამასთან, სოფლის მეურნეობაში (XX საუკუნის 60-იან წლებში) ყოველწლიურად საშუალოდ 4,0-4,4 ათასი ტონა ცოცხალი პარკი იწარმოებოდა და მეაბრეშუმეები 15,0-16,5 მილიონ მანეთს იღებდნენ, დარგში დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, აბრეშუმის მრეწველობაში – 5,5-6,0 ათასი კაცი, ხოლო დარგის მმართველობის სისტემაში დასაქმებული იყო დიდი კოლექტივი, რომლებიც პრაქტიკულად სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მუშაობდნენ.

სამწუხაროდ, სწორედ დარგის ზენიტში ყოფნის პერიოდში გავრცელდა თუთის მიკოპლაზმური დაავადება „ფოთლის სიხუჭუჭე“, რომელმაც 15 მილიონზე მეტი ძირი ჯიშისანი მცენარე გაანადგურა, რამაც საბოლოოდ დარგის დაცემა გამოიწვია. დაიკარგა 15-16 ათასი სამუშაო ადგილი, მილიონობით

ფულადი შემოსავალი, გაძლიერდა მიგრაციული პროცესები და სხვა უარყოფითი მოვლენები.

ჩვენი გაანგარიშებით, მოსახლეობამ პარკის წარმოების შემცირებით გამოწვეული ზარალი ვერ აინაზღაურა (ვერც მომავალში აინაზღაურებს) სხვა დარგებისაგან მიღებული შემოსავლებით, რამაც მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ასე მაგალითად, 1982 წელს ლაგოდეხელმა მეაბრეშუმეებმა 328,0 ტ. ცოცხალი პარკი აწარმოეს, რომლის საფასურადაც 4,0 მილიონი მანეთი მიიღეს. იმავე წელს კოლმეურნეობების საერთო სასაქონლო პროდუქციაში მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი 7,5 %-ს შეადგენდა, ხოლო მეცხოველეობაში – 37,6 %-ს. სადღეისოდ მეაბრეშუმეობა განადგურებულია, თუთის შემორჩენილი ნარგავობაც უპატირონოდაა მიტოვებული მაშინ, როდესაც ათასობით სოფლის მკვიდრი საკუთარი შრომით შეძლებდა საარსებო მინიმუმის დანაკლისის შევსებას-ოჯახური ბიუჯეტის გაუმჯობესებას მაშინ, როცა საქართველოში სიღარიბის არსებული მდგომარეობა სავალალო და სამარცხვინოა.

მართალია ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში სერიოზული მუშაობა ტარდება, მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონე და ფულადი შემოსავალი მაინც დაბალია; კვლავ მაღალია უმუშევრობა, ძლიერდება მიგრაციის პროცესი, იცლება სოფლები, მრავლდება ნამოსახლარები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას. აღნიშნული მოვლენების შემსუბუქების საქმეში გარკვეული როლის შესრულება შეუძლია მეაბრეშუმეობას, მაგრამ ეს პრობლემა თითქმის ოცნლეულზე მეტია პრაქტიკულად უწყურადღებოდ იყო მიტოვებული ყველა დონეზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის მოთხოვნილება იყო იგნორირებული და შედეგად სავალალო მივიდეთ. თუმცა უფრო რთული მდგომარეობაა ქვეყნის მეაბრეშუმეობის მაღალი ზონის სოფლებში. ასე მაგალითად, მეაბრეშუმეობისადმი მოსახლეობის სიყვარულის გამოხატულება იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია, სადაც მითითებული იყო, რომ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო სურების დარგობრივი სპეციალიზაცია ისტორიულად განისაზღვრებოდა მესაქონლეობით, მეაბრეშუმეობით, მეფუტკრეობით. „...ამ დარგების განვითარება განსაზღვრავდა სოფლის კეთილდღეობას, მაგრამ ისინი სადღეისოდ სავალალო მდგომარეობაში არიან, რაც სოფელს განადგურებით ემუქრება. მაშინდელმა პრეზიდენტმა (ბატონმა ე. შევარდნაძემ) საჯარო გამოსვლებაში არაერთხელ მიუთითა მეაბრეშუმეობის აღორძინების სტრა-



ტეგიულ მნიშვნელობაზე. ამან დიდი სტიმული მისცა ჩვენს თანამოაზრეებს, რადგან ისინი სოფლის მომავალს სწორედ ამ დარგის აღორძინებაში ხედავენ. პირად მეურნეობაში უკვე დაწყებულია თუთის ჯიშ „საქართველოს“ მოშენება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დარგის განვითარებისათვის აუცილებელია, რომ ამ მიზნით ავითვისოთ სოფლის უხნავი მიწები, რომლებზეც წელიწადნახევარში შესაძლებელია მოსახლეობაში აბრეშუმის ჭიის მოშენების დაწყება“ (ნ. ჭითანავა – „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“, თბილისი, 2012, გვ. 4). სამწუხაროდ, აღნიშნული ისტორიული სოფლის შენარჩუნებაზე არავის უფიქრია. გავიდა ათწელზე მეტი და ერთ-ერთმა ტელევიზიამ 2014 წლის ბოლოს გვიჩვენა სოფლის საგალალო მდგომარეობა, რომელიც უკვე იცლება (ვინ დასახლდება მათ ადგილზე?). როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. უსასრულოდ დავაგვიანეთ, ადგილობრივი ხელმძღვანელობა მაინც რას ელოდება? როგორც აკადემიკოსი ნ. ჭითანავა მიუთითებს „რატომ ხდება, რომ დღესაც, როცა თითქმის ყველაფერი გაშიშვლდა, ყველაფერი ჩანს, ყველაფერი დამსახურებულად და დაუმსახურებლად ვიგვეთ, განვიცადეთ, მაგრამ კვლავაც დაშვებული შეცდომებით უნდა ვიაროთ“?

ჩოხატაურის რაიონში და საერთოდ გურიის გუბერნიაში მებარეშუმეობის დაჩქარებული აღორძინების მიზნით, პირველ რიგში, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი ინვესტიციები. ამასთან, უნდა დაჩქარდეს თუთის ნარგაობის საორიენტაციო მაჩვენებლების დადგენა (ჯიშოანი თუ უჯიშო) სოფლების მიხედვით. აქვე უნდა დავაზუსტოთ მებარეშუმეობაში დასაქმების მსურველთა ოჯახების რაოდენობა. ამასთან, აქედანვე უნდა დავიწყოთ ზრუნვა მებარეშუმეობისაგან ცოცხალი პარკის მიღების, პირველადი დამუშავების და რეალიზაციის პრობლემების მოგვარებისათვის. 2016 წლის გაზაფხულზე უკვე შეიძლება დავიწყოთ უჯიშო თუთის ნარგაობის რეკომენდებული ჯიშების კვირტით (კალმით) გადამყნობა, რაც მომდევნო წელს მოგვცემს მოსავალს.

მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ თუთის ნერგების გამოზრდის ყველა მეთოდი და მათ შორის საკუთარფესვიანიც. განსაკუთრებით საინტერესოა „თერმული წყლით გამთბარ გრუნტში გამძლე თუთის ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება“, საიდანაც მიღებული ნერგების გამოზრდის დრო ნამყენთან შედარებით მცირდება 2 წლით, ხოლო ფოთლიანობა 2,5 – 3,0-ჯერ იზრდება.

მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე „შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების დამზადება“, რაც ადვილად ხელმისაწვდომი და მეტად რენტაბელურია (ზემთო აღნიშნულ ორ საკითხზე რეკომენდაციები და პრაქტიკული რჩევები შეიძლება მიიღოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან).

გადაუდებელ ღონისძიებას წარმოადგენს ჩოხატაურის საგრენაჟო ქარხნის ამოქმედება, რომელიც უკანასკნელ დრომდე (რომელიც ერთადერთია საქართველოში) იყო შენარჩუნებული და ალბათ ამჟამადაც იფუნქციონირებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საგრენაჟო ქარხანა მებარეშუმეობის სისტემაში ყველაზე მაღალრენტაბელური წარმომებაა და ინვესტიციების მოზიდვაც ამ მიმართულებით ხელმისაწვდომია.

ოზურგეთის ძაფსაღებ-საგრეხი ქარხანა განადგურებულია, მაგრამ მისი გამოცდილი სპეციალისტები ჯერ კიდევ დღეგრძელნი არიან და მათი მონდომებით პირველ ეტაპზე მოხერხდება დამზადებული პარკის ამოხვევა, თუნდაც მარტივი დაზგების გამოყენებით.

როგორც აღინიშნა, დროულად უნდა დავიწყოთ მუშაობა რეგიონის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით მე-

ურნეობრიობის მისადაგებული ფორმების (კოოპერატივი) ჩამოყალიბებაზე, თუმცა ეს ღონისძიება პირველ ეტაპზე საკმაოდ რთული იქნება. ამიტომ უახლოესი პერიოდისათვის შეიძლება გვეფიქრა ისეთი მარტივი ფორმების გამოყენებისათვის, რომელსაც ცოცხალი პარკის შემსყიდველის ფუნქციებიც ექნება. ამ მიზნით შეიძლება გავცნოთ კონია თავართქილაძის ინიციატივით დაარსებულ „შუამავლის“ ამხანაგობის (1895 წ.) მოქმედებას, გავაანალიზოთ იგი, გავწმინდოთ ზედმეტი „ჩენჩოსაგან“ და დავტოვოთ რაციონალური წინადადებები, მივუსადაგოთ დღევანდელ ვითარებას; ხოლო როცა დარგი „გაიღვიძებს“, იგი კოოპერაციულ ფორმებშიც იმძლავრებს.

ჩვენი შეხედულებით სამწუხარო ის არის, რომ სოფლის მეურნეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურებიდან მებარეშუმეობის ჩამოცილებით დაირღვა როგორც ეკოლოგიური გარემო, ისე ბიოფეიტის შემოსავლები და დემოგრაფიული ვითარება, რაც ალბათ ძნელად აღსადგენი იქნება.

უკანასკნელ ორმოცდაათწლეულში მებარეშუმეობაში შეიძლება გამოვყოთ ორი ეტაპი:

- პირველი პერიოდი – დაავადების გამოვლენა, ბრძოლის ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და აღორძინება;
- მეორე პერიოდი – 1991 წლიდან უკანასკნელ დრომდე გრძელდებოდა დარგის დასუსტება. სამწუხაროდ, წინა ოცდაათწლეულში განეული კოლოსალური შრომა და კაპიტალური დაბანდება მთლიანად წყალში იქნა გადაყრილი (მეცნიერების მიერ თუთის დაავადებისადმი პრაქტიკულად მედეგი ჯიშების გამოყვანა, განადგურებული საკვების 21,0 %-ით გადაჭარბებით აღდგენა და 2 000 ტონამდე პარკის წარმოება).

შეიძლება ითქვას, რომ მებარეშუმეობა, როგორც ეროვნული დარგი განადგურებულია და თავიდანაა ჩამოსაყალიბებელი. განვილილ ნახევარ საუკუნეში „მოვასწარით“ დარგის აღდგენაც და მეორეჯერ განადგურებაც, მაგრამ ახლა მაინც – მესამედ აღდგენის პერიოდში დარგს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. აღნიშნულზე ყურადღებას ვამახვილებთ იმიტომ, რომ მებარეშუმეობის გასაჭირზე თუ აღმავლობაზე ვისაც არ ეზარება ყველა ლაპარაკობს, მათ შორის საქმეში ჩახედულიც და ჩაუხედავიც. ამასთან, შესაძლო განვითარების ისეთ „შესაძლებლობებს“ და „უტყუარ“ ტემპებს შემოგთავაზებენ, რომელიც ფანტაზიის სფეროსაც კი სცდება.

საბედნიეროდ, დღევანდელ ხელისუფლებას გააჩნია მებარეშუმეობის დარგის აღორძინების კეთილი ნება, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე დაიწყო მისი განხორციელება.





განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს შოთა რუსთაველის ფონდის საგრანტო პროექტი (სამწუხაროდ, პროექტი 2015 წლის აპრილში მთავრდება) „თუთის მრავალმიზნობრივი გამოყენების მიზანშეწონილობა და ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს მთისა და ბარის პირობებში“; საერთოდ, აღნიშნულ თემაზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1995 წლიდან, ხოლო ახლა საგრანტო პროექტის საშუალებით მზარდი ტემპით მიმდინარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო აგრეთვე ხონის რაიონშიც.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ დარგში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით ჯერ კიდევ 2012 წელს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე დაამუშავა „საქართველოში მებარეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012 – 2025 წლებში“, 2014 წელს კი – საინვესტიციო პროგრამა „მებარეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რენვის ეტაპობრივი

აღდგენა ხონის რაიონში“. ისინი დამუშავებულია ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომი კონკრეტული პროგრამების შესაქმნელად.

● გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღევანდელ პერიოდში მებარეშუმეობის აღდგენა-განვითარება წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნოლოგიების და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გარეშე, რაზედაც დარგში მომუშავე მეცნიერებმა, მკვლევარებმა და სპეციალისტებმა უნდა იმუშაონ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში ფერმერის მოღვაწეობის არეალი უნდა განისაზღვროს საკვების მომზადებით, თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებით, პარკის დამზადებით, პარკის ამოხვევით და ნედლი პარკიდან ხამი აბრეშუმის ძაფის მიღებით. ამისთვის მათ უნდა ჰქონდეთ მძლავრი საკვები ბაზა, საკვების მომზადებისა და თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვების ტექნიკური საშუალებები, პარკის ამოხვევის ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები, მცირე სიმძლავრის ძაფის ამოსახვევი მანქანა-დანადგარები. ფუნქციონირება ასეთი განაწილებით იძლევა ზღვარი სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის; იცვლება ძველი სტრუქტურა და ყალიბდება ახალი თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონის სტრუქტურული ერთეულები.

აღნიშნული და სხვა მასალების საფუძველზე სოფლის მეურნეობის სამინისტროში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აქტიური მონაწილეობით მზადდება დარგის განვითარების პროგრამა, რაც საფუძველად დაედება მისი შემდგომი აღმავლობის საქმეს.

**გიორგი ნიკოლიშვილი,**

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;*

**ელეზუა შაფაძე,**

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

ახალგადა ფერმერთათვის

# ვაშლის ნერგის მყნობა ინტენსიური ბაღის გასაშენებლად

**ვაშლი ყველაზე ფართოდ გავრცელებული კულტურაა როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში, რაც გამოწვეულია ძირითადად ხილის მაღალი კვებითი ღირებულებით, გავრცელების ფართო არეალით და მრავალი სხვა ფაქტორით.**

ვაშლის ნერგების გამოსაყვანად აუცილებელია მყნობის ჩატარება. მყნობის ტექნოლოგიას დიდი ისტორია აქვს. იგი გამოიყენებოდა როგორც ჯიშის შენარჩუნების საშუალებად. შემდგომში საძირების ზრდის განსხვავებული სიძლიერის გათვალისწინებით მყნობამ შეიძინა ხის ზრდის სიძლიერის რეგულირების ფუნქცია.

## საძირის როლი

ინტენსიური ბაღების წარმატება ძირითადად საძირებზეა დამოკიდებული, რადგანაც იგი განაპირობებს მცენარის ზრდის სიძლიერეს, მსხმოი-

რობის დანეცხას ადრეულ ასაკში, ვარჯის მდგრადობას, მენლეობას და სხვა. მსოფლიოში ვაშლის მრავალი კლონური საძირეა ცნობილი, მაგრამ გადა-

წყვეტი მნიშვნელობა სუსტი ზრდის M9 და საშუალო ზრდის MM106 საძირეებს ენიჭება. ამ საძირეებზე გაშენებულ ბაღებს ამჟამად მეხილეობის წამყვან ქვეყნებში ძირითადი ადგილი უკავიათ. სუსტად მზარდი საძირეების გამოყვანამ რეგულაცია მოახდინა მეხილეობაში. MM9 საძირეზე დამყნობილი ნერგი მსხმოირობაში შედის დარგვის



პირველსავე წელს მაშინ, როცა ძლიერ საძირეზე დამყნობილი ნერგი მსხმოიარობას დარგვიდან 5-6 წლის შემდეგ იწყებს. სუსტად მზარდ საძირეზე დამყნობილი ხეების ენერგია დარგვისთანავე ნაყოფის მოცემაზე იხარჯება, მცენარე იტვირთება, რისთვისაც საყრდენი სისტემა დარგვისთანავე ხდება საჭირო.

ინტენსიური ბალის გასაშენებლად ყველაზე ხელსაყრელია კნიპ-ბაუმის მეთოდი. ამ მეთოდით ფორმირებისას საძირე და ნერგი ორი წლისაა, ხოლო ვარჯი ერთი წლის. ხე უფრო ძლიერია, განტოტვა საჭირო სიმალიდან იწყება და გვერდითი ტოტები ვარჯიდან ბლაგვი კუთხით გამოდის.

**ნერვის წარმოება კნიპ-ბაუმის მეთოდით**

საძირე M9, რომლის დიამეტრიც 8-10 მმ-ს შეადგენს, გადაიჭრება ფესვის ყელიდან 38 სმ. სიმაღლეზე, მასზედამყნობა 2-3-კვირტიანი 7-8 სმ. სიგრძის კალამი, მყნობის შემდეგ ნამყენი შეიხვევა სპეციალური სახვევი ლენტით და კალმის გამოშრობის თავიდან აცილების მიზნით დაპარაფინდება 700ც პარაფინში. რაც უფრო მაღლა დაიმყნობა ნერგი, მით უფრო მშვიდად იზრდება იგი და უფრო მეტ მოსავალს იძლევა. ნამყენი შეხორცებისათვის ჰორიზონტალურად ჩალაგდება ყუთებში, რომელშიც ჩაფენილია პოლიეთილენის ფირი. ყუთები ინახება სპეციალურ ადგილზე 100°C ტემპერატურის და 85% ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის პირობებში 14 დღის განმავლობაში. ჩახურების თავიდან აცილების მიზნით პერიოდულად მოხდება პოლიეთილენის გახსნა, დანამვა და ნამყენის განიავება. რეჟიმის კონტროლი ხორციელდება ტენსიომეტრით. 154 დღის შემდეგ ნამყენი მოთავსდება 1.5-2°C ტემპერატურაზე და შეინახება ღია გრუნტში გადარგვამდე. ღია გრუნტში დარგვამდე ერთი დღე-ღამის განმავლობაში ნამყენი მოთავსდება წყალში.

მყნობის 150 წესზე მეტია ცნობილი. ეს წესები იყოფა 2 ჯგუფად: კვირტის მყნობა ანუ ოკულირება და კალმით მყნობა. კვირტით მყნობა ძირითადად სრულდება ვეგეტაციის პერიოდში ან მცენარეში წვენთა მოძრაობის დაწყებისას.


კვირტის მყნობის 2 სახეს არჩევენ:

● კვირტის ჩასმით მყნობა, რომლის ჩატარების პერიოდი საქართველოს პირობებში არის ზაფხულის მეორე ნახევარი, ივლისი, აგვისტო და სექტემბრის შუა რიცხვები.


● კვირტის მიჭდობით მყნობა, რომელიც შეიძლება ჩატარდეს როგორც ზაფხულის პერიოდში, ასევე ადრე გაზაფხულზე კვირტების დაბერვისას.




კვირტის ჩასმით მყნობა




კვირტის მიჭდობით მყნობა



კანკეშ მყნობა



გაბობით მყნობა



საძირეები



სამყნობი კვირტები



სამყნობი კალმის დამზადება



შესრულებული ნამყენი



ნამყენის შეხვევა




შეხვეული ნამყენი





**პარაფინირება**



**ნამყენის შენახვა დარგვამდე**

კალმით მყნობის მრავალი წესია ცნობილი. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია კოპულირება, კანქვეშ მყნობა, გაპობით მყნობა. აქედან ნერგების გამოსაყვანად ძირითადად გამოიყენება კო-

პულირება. კანქვეშ მყნობა და გაპობით მყნობა გამოიყენება მსხმოიარე ხეების გადასამყნობად ანუ ჯიშის შესაცვლელად. ბოლო დროს ნერგების გამოსაყვანად სულ უფრო ფართოდ ინერგება ენა-

კებით კოპულირება ანუ ზამთრის მყნობა. იგი ტარდება მოსავლის პერიოდში ე.ი დაწყებული შემოდგომიდან მთელი ზამთრის პერიოდში გაზაფხულამდე. აღნიშნული ტექნოლოგიისათვის საძირეს იღებენ ფოთოლცვენის შემდეგ და ათავსებენ სარდაფის პირობებში. გამოშრობისაგან დაცვის მიზნით დაფარავენ სველი სუბსტრატით, სილით ან ნახერხით. მყნობა ტარდება თბილ განათებულ შენობაში. მყნობის დროს საძირეზე და სანამყენზე კეთდება დაახლოებით ერთნაირი ზომის ირიბი ჭრილი. სანამყენზე კალამი უნდა იყოს 2-3 კვირტით, ამის შემდეგ კალამი და საძირე შეერთდება ენაკის საშუალებით, შეიხვევა სპეციალური სახვევი ლენტით, დაპარაფინდება და შეხორცების მიზნით გაივლის სტრატეფიკაციას 10-15 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ ყუთები შეინახება 0+4°C ტემპერატურაზე დარგვამდე.

მსხმოიარობაში ნერგის სწრაფად შესვლის მიზნით იყენებენ სუსტ საძირეზე დამყნობილ დატოტვილ ორნლიან ნერგებს, რომლებიც დარგვის წელსვე იწყებენ მსხმოიარობას. ასეთ ნერგებს აქვთ არანაკლებ 5-6 ბლაგვი კუთხით გამოსული განტოტვა, ხოლო შტამბის დიამეტრი 10-12 მმ-ია.

**მეღვინეობა**

**ღვინის შენახვისა და დაკველების საკითხისათვის**

ოჯახურ პირობებში ღვინის ხარისხის გაუმჯობესება ხშირად ღვინის არასწორ შენახვას უკავშირდება. ღვინის მართებულად და ხარისხიანად შენახვაზე დამოკიდებულია, როგორც თავად ღვინის ხარისხი, ისე ისიც, თუ რამდენ ხანს გაძლავს და დაკველდება ესა თუ ის ღვინო. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ რაც კვილია ღვინო, მით უფრო კარგია იგი, სიმართლეს არ შეესაბამება და ღვინის ხარისხის მთავარ კრიტერიუმად ეს გარემოება არ გამოდგება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ღვინო, მისი სტრუქტურულიდან გამომდინარე ხანგრძლივ შენახვას არც კი ეძვემდგარება. და პირიქით, ზოგჯერ ღვინო ვაზის ჯიშებიდან, სპონანხი ნიადაგიდან, მისი დაყენების წესიდან და თავისივე სტრუქტურულიდან გამომდინარე სასიამოვნო და დასვენებელი მხოლოდ რამდენიმეწლიანი დაკველების შემდეგ ხდება.



მოკლედ განვიხილოთ საკითხი, თუ როგორ პირობებში უნდა იქნეს შენახული ღვინო. ღვინის შენახვის პროცესში, იქნება ეს ხანგრძლივი, თუ მოკლე დროით შენახვა, ერთ-ერთ უმთავრეს როლს მარნისა, თუ სარდაფის ტემპერატურა ასრულებს. ზოგადად მიღებულია, რომ, მაგალითად ქარხნულ პირობებში ღვინის ხარისხიანად და მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით შენახვისათვის საჭიროა დაახლოებით 15-16°C. ესაა ღვინის შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა, თუმცა ოჯახურ მარნებში წელიწადის თბილ პერიოდში ჰაერის ტემპერატურა შესაძლოა გაცილებით მაღალი იყოს. მაგრამ, მა-

გალითად, ქვევრში ღვინის შენახვის ტემპერატურა, თუ, რა თქმა უნდა მარანი რიგი წესების დაცვითაა მოწყობილი, ასე თუ ისე, ბუნებრივადაა დაცული. ყოველი შემთხვევისათვის, ქვევრში არასასურველი ტემპერატურის გამო ღვინის შენახვის პროცესი რისკის ქვეშ არ დგას. ისეთ სარდაფში, სადაც ღვინო, ან ჭაჭა კასრებით ინახება, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტემპერატურა, არამედ ჰაერის ფარდობითი ტენიანობაც. საქმე ისაა, რომ ზედმეტად მშრალ ადგილას დადგმული კასრის კედლები შესაძლოა გამოშრეს და ამრიგად იქ მდგარი სასმელი ინტენსიურად აორთქლდეს და დაიკარგოს. არც

ზედმეტად ნესტიანი მარანია მისაღები ღვინის შესანახად. ამრიგად, დადგენილია, რომ სარდაფსა თუ მარანში, სადაც ხდება ღვინისა თუ „ჭაჭის არყის“ მუხის კასრებში დავარგება, საჭიროა დაცული იქნას ჰაერის დაახლოებით 75-85%-იანი ფარდობითი ტენიანობა. ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ეს პირობები მხოლოდ კასრების შემთხვევაშია სასურველი და სხვაგვარი ჭურჭლის შემთხვევაში ეს მოთხოვნა დღის წესრიგში არ დგას. ამრიგად, ღვინის შენახვა რთული საქმეა, თუმცა, როგორც ითქვა, ამ პროცესზე დიდადა დამოკიდებული მისი ხარისხი. ღვინის ხარისხიანად შენახვის მისაღწევად ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო. სხვადასხვა ტიპის ღვინო, მართალია არა რადიკალურ, მაგრამ მაინც განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს მოვლა-შენახვის თვალსაზრისით. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ესა თუ ის ღვინო სხვა ღვინისაგან განსხვავებით შესაძლოა უფრო დიდი ხნით იქნას შენახული. განსაკუთრებით ხანგრძლივი პერიოდით ინახება ისეთი ღვინოები, რომლებიც ხასიათდებიან ტანინების უხვი შემცველობით, სრული სხეულითა და ზოგადად მაღალი ექსტრაქტულობით. მაგალითად, კახური წესით დაყენებული რქანითი ღვინო გაცილებით დიდხანს შეინახება, ვიდრე იგივე რქანითი, რომელიც უდევოდ, ანუ უჭაჭოდაა დაყენებული. ტანინის შემცველობის თვალსაზრისით რაც უფრო მდიდარია ღვინო, მით უფრო დიდხანსაა ასეთი ღვინის შენახვა შესაძლებელი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტანინი მაინც არ არის ის ერთადერთი ნივთიერება, რომელიც განაპირობებს ღვინის ხანგრძლივად შენახვას. ხანგრძლივ დაძველებას შესაძლოა არა მხოლოდ კახური წესით დაყენებული ღვინო ექვემდებარებოდეს, არამედ, მაგალითად იმერული, შედარებით ნაზი ღვინოებიც. ასეთ შემთხვევაში ერთგვარ ურთიერთგამომრიცხავ სიტუაციაში ვიყავით... მაგალითისათვის, საინტერესოა ამონარიდი წიგნიდან „საქართველოს ამპელოგრაფია“ ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე. თბილისი 1960 წ. გვ. 361, სადაც საუბარია იმერული თეთრყურძინი საღვინე ვაზის ჯიშის – ციცქას ღვინოზე: **შენახვისას ციცქას ღვინო უმჯობესდება, ივითარებს ბუკეტს და მაღალ გემურ თვისებებს. კასრებში სამი წლის შენახვის შემდეგ ღვინო ისხმება ბოთლებში დასაძველებლად. ციცქას ღვინო კარგია 6-7 წლისა, ხოლო უკეთესია 12-18 წლის ასაკში. სიძველეში იგი ივითარებს ძლიერ ბუკეტს, რომელშიც გამოკრთის გუდრონის იერი. საქარის საცდელი სადგურის ძველი საკოლექციო ღვინოების დაჭაზნიკებისას გამოირკვა, რომ ციცქას ღვინო ძლებს 40-50 წლის ასაკამდე. მაგალითად 1903-1905 წლის მოსავლის ზოგიერთ ღვინოებს, ხანდაზმულობის მიუხედავად დაშლის, კვდომის ნიშნებით არ ეტყობოდა...**

უნდა აღინიშნოს, რომ ამონარიდის თავში აღნიშნულ წიგნში – „საქართველოს ამპელოგრაფია“ სხვადასხვა ღვინის დაძველების საკითხის შესახებ არაერთი საინტერესო ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი.

საინტერესოა ასევე ღვინის სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხიც. როგორც ცნობილია, ადამიანის მსგავსად ღვინო ერთადერთი პროდუქტია, რომელიც იბადება, ჭაბუკობს, ჭარმაგობს, აქვს სიძაბუნე-სიბერის პერიოდი, რის შემდეგაც იგი კვდება... ღვინის სიკვდილი მეტად საინტერესო და იშვიათი პროცესია. მაგალითისთვის, წითელი ღვინის შემთხვევაში, როდესაც ღვინო სიკვდილს უახლოვდება, მასში იწყება საღვინე ნივთიერებების დაშლა და დალექვა, ალკოჰოლი ქრება და საბოლოოდ რჩება მოყვითალო შეფერილობის მომყვავო სითხე, რომელიც არც ერთი პარამეტრით უკვე აღარ არის ღვინო. ღვინოს სიკვდილის პერიოდი შესაძლოა დაუდგეს სხვადასხვა დროს. ნორმალურ პირობებში, ანუ ღვინის ჩვეულებრივ, დაშვებულ პირობებში შენახვის დროს ღვინომ შესაძლოა იცოცხლოს 50, 100, 150, ან 200 წელიც კი. ამის შემდეგ იწყება ის პროცესი, რომელიც ჩვენ უკვე ვახსენეთ. ზოგიერთი ღვინო, მისი შენახვა-დავარგების პირველ

ეტაპზე უფრო და უფრო ვითარდება და უკეთესდება. ოჯახურ პირობებში ეს პროცესი შესაძლოა საშუალოდ 5-10 წელი გაგრძელდეს. ამის შემდგომ ღვინო ერთგვაროვან მდგომარეობაში რამდენიმე წელი, რის შემდეგაც უკვე იწყება „დაბლა დაშვების“ წლები... ზოგიერთი ვაზის ჯიშის ისეთ ღვინოს ბუნებრივად ვერ იძლევა, რომელსაც დაძველების დიდი უნარი ექნებოდა. ასეთებია, მაგალითად: თავკვერი, შავკაპიტო, ალადასტური, ასურეთული შავი და სხვ. გავრცელებულია აზრი, რომ რაც უფრო თხელი და მზატეა ღვინო, მით უფრო მცირედი ხნითაა მისი დაძველება რეკომენდებული. მაგრამ ღვინის ხანგრძლივად შენახვის, ანუ დაძველების საკითხი მოითხოვს საქმის საფუძვლიან ცოდნას და ეს მეტად მნიშვნელოვანი პროცესი მხოლოდ ერთ საგანზე არაა დამოკიდებული, არამედ ბევრ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე. ზოგჯერ ესა თუ ის ღვინო დაყენების წესიდან, თუ სხვა რომელიმე ფაქტორიდან გამომდინარე, მეტად მძიმე, ზედმეტად სხეულიანი და უხეში დგება. რიგ შემთხვევებში ამგვარ ღვინოს დაძველების ერთი, ან რამდენიმეწლიანი პერიოდი მეტად უხდება, მეტადრე ბოთლური დაძველებისა, რომლის დროსაც უმეტეს შემთხვევაში ღვინის გემო საგრძობლად უმჯობესდება. ის სიუხეზე, რომელიც ღვინის გემოში თავდა-



პირველად იგრძნობოდა, გარკვეულხნისანი დაძველების შემდეგ ქრება. მისი გემო რბილდება და იგი ხდება უფრო ჰარმონიული და სასიამოვნო. დაძველების ხანგრძლივობა კონკრეტულად ღვინის სტრუქტურაზეა დამოკიდებული. ზოგიერთი ტიპის ღვინისათვის შესაძლოა ერთწლიანი, ან თუნდაც რამდენიმეწლიანი ბოთლური დაძველება საკმარისი აღმოჩნდეს, მაშინ როდესაც ზოგიერთი მძიმე, სრულსხეულიანი, ძარღვიანი და ტანინების უხვად შემცველი ღვინო მისი ხარისხის მაქსიმუმის გამოსავლენად საჭიროებდეს 5-6 წლიან, ან უფრო მეტხნის დაძველებას და ა.შ. ბოთლური დაძველების დროს თავად ღვინის ბოთლის მდგომარეობისა და შენახვის პირობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს! ბოთლი დაძველები-სა, თუ უბრალოდ მისი მცირე ხნით შენახვის დროს აუცილებლად დაწვენილ მდგომარეობაში უნდა ინახებოდეს. თუ ბოთლი „ფხვზე დგას“, მაშინ ბოთლის საცობი გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შრება და ერთი მხრივ ღვინო იწყებს აორთქლებას, ხოლო მეორე მხრივ, იგი ამყარებს ჰაერთან კონტაქტს, რაც ღვინის ხარისხზე ცუდად მოქმედებს... დაძველება მეტად უხდება, და ასეთ დროს გემოვნური თვალსაზრისით დიდად უმჯობესდება „ჭაჭაც“ (ჭაჭის არაყი), რომელიც შესაძლებელია, დაძველდეს, როგორც მუხის კასრში, ისე ქვევრშიც. უნდა ითქვას, რომ თუკი ღვინოში, თუნდაც მცირედიტაყ კი აღინიშნება რაიმე დაავადება, ან ნაკლოვანება, მაშინ ეს გარემოება დაძველების დროს, აბსოლუტური უმეტესობის შემთხვევაში, უფრო მეტად ვითარდება და ღვინის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება.



ქართულ ვაზის ჯიშთა ჩამონათვალში გვხვდება ერთი ასეთი ჯიში – სამარხი, რომელიც არის გურიის თეთრყურძნიანი მცირედგავრცელებული საღვინე ვაზის ჯიში. ვაზის ჯიშის სახელის ეტიმოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე სპეცი-ალისტები მიიჩნევენ, რომ ჯიში არის იმგვარი ღვინის მომ-ცეში, რომელიც არის „სამარხი“, ანუ შესანახი, დაძველების დიდი უნარის მქონე ღვინო... ღვინის დაძველებისა, თუ უბრა-ლოდ შენახვის დროს დაძველება-შენახვის პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ადგილი (მარანი, სარდაფი), სადაც ხდება ღვინის დაძველება-შენახვა, უნდა იყოს გრილი და მყუდრო. ღვინოზე ზედმეტი ხმაური ცუდად მოქმედებს! და პირიქით – სიგრილე, სინყნარე და სიბნელე მისი განვითარებისა და ხა-რისხიანად შენახვისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობებია. ღვინის დაძველება-შენახვა ყველაზე უკეთ ქვევრში ხდება, რადგან ქვევრი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის უნიკალური ჭურჭელი. აქედან გამომდინარე, ჩვენი წინაპრები ქვევრის დამზადებასაც იმგვარივე სიფრთხილით ეკიდებოდნენ, რო-გორც თავად ღვინის დაყენებას. ქვევრმა ღვინო წლებისა და შესაძლოა ათწლეულების მანძილზეც კი უნდა შეინახოს და

დაიცვას. ცხადია, ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, რო-გორც ღვინის დაყენების წესსა და მარნის ჰიგიენას, ისე ქვევ-რის დამზადებასაც. ქართლში, მეტეხ-ერთაწმინდის მეთუნე-ობის კერაში ბოლო პერიოდამდე შემორჩა ერთი ძირძველი ადგილი. კერძოდ, როდესაც მექვევრე ქვევრის გასაკეთებელ თიხას სახლში მიიტანდა, ერთ დღე-ღამეს დააყოვნებდა, ფუ-ძე-კერას შეაჩვენებდა, შემდეგ თიხას ნაკურთხ წყალს ასხუ-რებდა და ქვევრებისა თუ სხვა რომელიმე ჭურჭლის დამზა-დებას მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა.

ჩვენს მიერ 2014 წელს ქალაქ ახმეტაში, დავით ოზბეთე-ლაშვილის მარანში გახსნილი იქნა ქვევრი, რომელშიც კა-ხური წესით დაყენებული რქანითლის ღვინო 40 წლის გან-მავლობაში ინახებოდა. დაგემოვნებისას ღვინოს რომელიმე დაავადება, ან ზადი სრულიად არ ეტყობოდა და იგი იყო აბ-სოლუტურად ჯანმრთელი და ჰარმონიული.

როგორც ვნახეთ, ღვინის შენახვა-დაძველება მეტად მნიშ-ვნელოვანი ტექნოლოგიური პროცესია, რომელიც არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული. ყოველი, თუნდაც წვრილმანი დეტალის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა ღვინის ხარის-ხი გააუარესოს, ამიტომ ვაზის ჯიშისა, თუ სავენახე ადგილის შერჩევით დაწყებული, საღვინე ჭურჭლით დასრულებული, ღვინის შენახვა-დავარგების პროცესში ყოველი, თუნდაც წვრილმანი დეტალი მეტად მნიშვნელოვანია.

დასკვნის სახით კი ვიტყვი, რომ, თუკი ამა თუ იმ ღვინის ხარისხის მაქსიმალურად გამოვლინების საქმეში დაძველე-ბას დიდი მნიშვნელობა აქვს, ზოგიერთ ღვინოზე დაძველე-ბის პროცესმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს. სწორედ ამიტომ ღვინის ქართულად დაყენების საქმეში დაძველების პროცესი ინდივიდუალური საგანია, რომელი საქმეც მო-ითხოვს შესაბამის დარგობრივ ცოდნა-გამოცდილებას.

*გიორგი პარისაშვილი,  
მცხეთა, 2015 წ.*

**ჩვენი სიმდიდრე**

**სამონადირეო მეურნეობების დანიშნულება და მნიშვნელობა**

**როგორი კუთხითაც არ უნდა მივუღვათ ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას გუნებასთან, უპირველეს ამოცანას წარმოადგინს ჩვენი პლანეტის ფაუნის წარმოგადგენლების დაცვა. სწორედ ეს უნდა წარმოადგინდეს სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს.**

სამეურნეო გამოყენების თვალსაზ-რისით დედამიწის სახის ცვლილებამ ფაუნის ზოგიერთ წარმომადგენელს შეუქმნა არსებობისათვის ხელსაყრე-ლი პირობები. მაგალითად, მეცხოვე-ლეობის განვითარებამ შექმნა საკვების დამატებითი რეზერვები ხორცისმ-ჭამელი ორგანიზმებისათვის, ხოლო სატყეო მეურნეობების ინტენსიფი-კაციამ მკვეთრად გაზარდა ტყის კვე-რითი ღირებულება ჩლიქოსანი-დენდ-როფაგებისათვის. ამის შედეგად გაი-ზარდა ზოგიერთი სახეობის რიცხო-ბრიობა და მათმა წარმომადგენლებმა დაიწყეს გარკვეული ზარალის მიყენება სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარ-

გისთვის, განსაკუთრებით სოფლის მე-ურნეობისათვის. ამასთან, დედამიწის მოსახლეობის ზრდასთან ერთად, სა-სურსათო პროდუქტების დეფიციტის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირების ფონზე, გარკვეულწილად იზრდება მოთხოვნილება, არა მარტო ნანადირევის მაღალხარისხოვან ხორ-ცზე, არამედ მათგან მიღებულ სხვა პროდუქტიაზეც. ამ პრობლემების მოგ-ვარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სამონადირეო ფაუნის წარ-მომადგენლების დაცვის, მომრავლების და შემდგომი მიზანმიმართული, გონივ-რული ექსპლუატაციის საფუძველზე. ამჟამად, იმ პრობლემების შესწავლა და



დამუშავება, რომლებიც დგას ნადირთ-მცოდნეობის, როგორც დარგის წინაშე, მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში არსე-ბულ სამონადირეო მეურნეობებში, ნაკ-რძალებში, ეროვნულ ტყე-პარკებსა და ალკვეთილებში.



ნადირთმცოდნეობის მიზანს წარმოადგენს სამონადირეო მეურნეობების, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი დარგის მეცნიერულ დონეზე შესწავლა; მისი მოქმედების ობიექტების სივრცობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების, მათი ბიოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებების ცოდნა; აგრეთვე მუშაობის წარმართვის შედარებით უფრო პერსპექტიული ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების გამოახსნა.

სამონადირეო მეურნეობა წარმოადგენს სამეურნეო ერთეულს, რომელიც მოიცავს გარკვეულ ნადირ-ფრინველთა როგორც აბორიგენული, ასევე შემოყვანილი სახეობებისთვის ბუნებრივ საბინადრო ზონაში, ან ამ სახეობათათვის შესაფერის ბუნებრივ პირობებში გამოყოფილ ტერიტორიას, რომელზეც ნებადართულია, გარკვეული ორგანიზაციული ფორმების დაცვით, როგორც ხარენაო, ასევე სპორტული ნადირობის წარმოება.

სამონადირეო მეურნეობის დანიშნულებაა: 1. მაქსიმალურად იქნას შემცირებული ცხოველთა სამყაროსათვის საფრთხის მიყენების შესაძლებლობა. 2. სამონადირეო მეურნეობის საქმიანობა წარიმართოს იმ ხერხითა და მეთოდით, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ ტერიტორიაზე ბუნებრივი პირობების შენარჩუნებას და გარკვეული ცხოველებისათვის თანაბარი საარსებო პირობების შექმნას. 3. მეურნეობა ვალდებულია აწარმოოს უწყვეტი დაკვირვება (მონიტორინგი) მის ტერიტორიაზე ნადირ-ფრინველის რიცხოვნობაზე და სახეობრივ შემადგენლობაზე და მიანოდოს შესაბამისი მონაცემები სახელმწიფო უწყებებს.

სამონადირეო მეურნეობის ამოცანებია: დარგის კარგი ტექნიკური აღჭურვის ხარჯზე, მონადირისათვის ხელსაყრელი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა და შრომის ნაყოფიერების ამაღლება; სამონადირეო ფართობების მწარმოებლობის დონის ამაღლება, ე.ი. როგორც სანადირო ფაუნის რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სახეობრივი შემადგენლობის გაზრდა, ასევე მათი პოპულაციების რიცხოვნობის ყოველწლიური მატება.

სამონადირეო მეურნეობის მიზნებია: ფლორისა და ფაუნის უკეთეს შესწავლა და დაცვა; მონადირული ეთიკის და კულტურის დანერგვა ახალგაზრდა მონადირეებში; მონადირული გამოცდილების გაზიარება; მონადირეების გაცნობა და დაახლოება; ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლა; ერთობლივი გასვლების მოწყობა სანადიროდ და სათევზაოდ; ნადირობის და თევზაობის, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების პოპულარიზაცია.

სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციისათვის აუცილებელია პირველ

რიგში, იმ ტერიტორიის და ფართობის შესწავლა-შეფასება, სადაც შემდგომში უნდა შეიქმნას სამონადირეო მეურნეობა. ტერიტორიის შეფასება უნდა მოხდეს იქ არსებული გეოგრაფიული, კლიმატური, ეკოლოგიური, მცენარეული და წყლის რესურსების შესწავლის საფუძველზე. სამონადირეო მეურნეობების ორგანიზაცია და შემდგომი ექსპლუატაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ კომპონენტებთან.

ტერიტორიის გეოგრაფიული მდგომარეობის შესწავლით ვგებულობთ, თუ რა სახეობის სამონადირეო ფაუნის წარმომადგენლების შემოყვანა, დაცვა, მომრავლება და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით გარემოში გაშვება, იქნება ხელსაყრელი ანა თუ იმ რელიეფურ პი-



რობებში (გამოილ ველებზე, მდელოებსა და ბუჩქნარში – მწყერი, კაკაბი, გნოლი, კურდღელი, მელა; ტყის განაპირა ზოლში – ხოხობი; მთა-გორიან ტყეებში – დათვი; წყალსატევის სანაპირო ბუჩქნარში – გარეული ღორი; წყალსატევეებში – იხვი, ბეკასი, გარეული ბატი, წყლის ძვირფასბუნვიანი ცხოველები; ნათელ ტყეებში – შველი, ირემი; სუბალპურ და ალპურ ზონაში – არჩვი, ჯიხვი, ნიამორი).

კლიმატური პირობების შესწავლით გვეძლევა შესაძლებლობა გავარკვიოთ, თუ რომელ კლიმატურ პირობებში აქვს უპირატესობა ანა თუ იმ სახეობის მოშენებას და გარემოში გაშვებას, ანუ რომელ კლიმატურ პირობებში უნდა მოენყოს ამ ზონისათვის მისადაგებული სამონადირეო მეურნეობა. მაგ: დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან რაიონებში ხელსაყრელია მოენყოს სამონადირეო მეურნეობები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან გარეულ იხვზე, ტყისა და წყლის ქათამზე, გარეულ ბატზე, შესაძლებელია გარეულ ღორზე და ა.შ.

ეკოლოგიური ვითარების შესწავლა იმ ტერიტორიაზე, სადაც უნდა მოხდეს სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაცია, აუცილებელია და წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას. საქმე იმაში გახლავთ, რომ სამონადირეო მეურნეობის ჩამოყალიბება უნდა მიესადაგებოდეს და არავითარ შემთხვევაში

არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ ეკოსისტემას, სადაც შეიქმნება მოცემული მეურნეობა. ყოვლად დაუშვებელია სამონადირეო მეურნეობის შექმნა და იქ მობინადრე ცხოველთა სამყარომ დისბალანსი შეიტანოს არსებულ ეკოსისტემაში (მაგ: ისეთი სახეობების მოშენება, რომლებიც შეავიწროვებენ ამ ტერიტორიაზე მობინადრე აბორიგენულ სახეობებს, ან შესაძლებელია შემოყვანილმა სახეობამ შეიტანოს რაიმე ინფექციური, ან ინვაზიური დაავადება, ან ახალი სახეობის შეყვანამ შესაძლებელია დიდი ზიანი მიაყენოს არსებულ ცხოველთა სამყაროს. (მაგ: წავის შეყვანის შედეგად წყალსატევეში შესაძლებელია დიდი რაოდენობით განადგურდეს თევზი). ასეთი შემთხვევების გაუთვალისწინებლო-

ბამ შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს არსებულ ბიოცენოზს და მთლიანად ეკოსისტემას.

მცენარეული საფარველის შესწავლას სამონადირეო მეურნეობების ორგანიზაციის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იგი მდგომარეობს შემდეგში: გარეული ცხოველები და საერთოდ ნადირ-ფრინველი თავიანთი ბიოლოგიით და ფიზიოლოგიით მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მცენარეულ საფარსა და საერთოდ მცენარეთა სამყაროსთან. გარეული ცხოველები შეადგენენ კვებითი ჯაჭვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს-კონსუმენტებს, რომლის ძირითად და პირველ, სანყის რგოლს წარმოადგენენ მცენარეები-პროდუცენტები. სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციის დროს, სანყის ეტაპზე, აუცილებელია იმ ტერიტორიის შეფასება-მონიტორინგი და შემდგომში უკვე ჩამოყალიბებული სამონადირეო მეურნეობის ბონიტირება, სადაც გადანყვეტილია მოცემული სამონადირეო მეურნეობის ჩამოყალიბება. ამ მონიტორინგის და შემდგომი სავარჯულის ბონიტირების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მოცემულ ტერიტორიაზე არსებული მცენარეული საფარველის შესწავლა-შეფასების საფუძველზე, რადგან ერთი და იგივე ტერიტორია შესაძლებელია ხელსაყრელი იყოს ერთი, ან ორი სახეობის ცხოველის-



თვის, მაგრამ სრულიად გამოუსადეგარი იყოს სხვა სახეობებისათვის. მაგ: წინვოვანი ტყე ძალზე ხელსაყრელია სიასამურისა და ციყვისათვის, მაგრამ სრულიად გამოუსადეგარია ირემისა და შველისათვის. აქედან გამომდინარე, ნადირთმცოდნეები მეტყველებთან ერთად დასახელებულ ღონისძიებას კერძოდ, მოცემულ სავარგულზე არსებულ მცენარეულ საფარველს აფასებენ ასაკობრივი თვალსაზრისით და ყოფენ სამ კატეგორიად: 1. ახალგაზრდა ტყეები, რომელშიც გაერთიანებულია 0-დან 20-წლამდე ასაკის მცენარეები; 2. საშუალო ასაკის ტყეები 20-დან 40-წლამდე და 3. ასაკოვანი ტყეები – 40 წელზე უხნესი. ყველა ჩამოთვლილი ასაკობრივი ჯგუფისათვის დამახასიათებელია თავისი ცხოველთა სამყარო. მაგ: ახალგაზრდა ტყეებში, სადაც ხეები ჯერ კიდევ არ არიან ძლიერად განვითარებულნი, მზის სხივები კარგად აღწევს ნიადაგამდე და აქედან გამომდინარე კარგად არის განვითარებული ბალახოვანი საფარველი. ასეთ სავარგულზე ძირითადად გვხვდებიან ისეთი სახეობები, რომლებიც კარგად გრძნობენ თავს ბალახეულ საფარში, კერძოდ, კურდელი, მელა, ხოხობი; საშუალო ასაკის ტყეებში ხეები შედარებით კარგად არიან

განვითარებულნი, მაგრამ ნაყოფს დიდი რაოდენობით არ იძლევიან. ამ ასაკობრივ ჯგუფში კარგად არის განვითარებული ბუჩქოვანი საფარი. ასეთ ტყეებში კარგად გრძნობს თავს ირემი, შველი, სადაც თითქმის აღარ გვხვდებიან ახალგაზრდა ტყისათვის დამახასიათებელი ცხოველთა სახეობები; რაც შეეხება ასაკოვან ტყეებს, ამ შემთხვევაში ხეები უკვე მძლავრად არიან განვითარებულნი, მათი ტოტები თითქმის აღარ უშვებენ მზის სხივებს ნიადაგამდე, მაგრამ იძლევიან ნაყოფს. ასეთი ტყეები ხელსაყრელ საბინადრო გარემოს წარმოადგენენ ისეთი სახეობებისთვის როგორებიცაა დათვი, გარეული ღორი, სიასამური, ციყვი, ფრინველებიდან როჭო და ა.შ.

იმ სამონადირეო სავარგულებში ტიპებად დაყოფას, რომელზეც არ გვხვდება ტყის საფარველი, აწარმოებენ ბუნებრივ-დაუმუშავებელი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გამოყენებული ტერიტორიის პრინციპით.

წყლის რესურსების შესწავლა აუცილებელია იმ თვალსაზრისით, რომ გვექნოდეს წარმოდგენა თუ რა სახეობის წყალსატევის ცხოველების (თევზები, ნავი, თახვი, წაულა და ა.შ.) მოშენება იქნება ხელსაყრელი მოცემულ ტერიტო-

რიაზე სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციის შემთხვევაში, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს არსებულ ეკოსისტემას.

სამონადირეო მეურნეობების შემდგომი ორგანიზაციისათვის აუცილებელია მეურნეობის ტერიტორიის ზონირება; სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიის დაყოფა საეგერო სამცველოებად; სამონადირეო მეურნეობის საზღვრების დემარკაცია; კვოტები; ნადირობის პროცესის ორგანიზაცია; რეკომენდაციების შემუშავება.

სამონადირეო მეურნეობის შიდასამეურნეო დანიშნულების ერთეულებს აუცილებლად უნდა შეადგენდეს სანადირო უბანი; აღკვეთილი; აღწარმოების უბანი; ნადირ-ფრინველის საშენი.

ამრიგად, სამონადირეო მეურნეობის დანიშნულებაა ნადირობის თავისუფალი, ნორმირებული და მიზანმიმართული წარმოება, რომელიც თავის თავში აერთიანებს, პირველ რიგში, ცხოველთა სამყაროს დაცვას, ე. ი. ითვალისწინებს მთელი სამონადირეო ფაუნის აღდგენის, დაცვისა და მომრავლების კომპლექსური ღონისძიებების გატარებას; არეგულირებს მათი სახეობების რიცხოვნობას ოპტიმალურ დონეზე და იძლევა მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობას საზოგადოების სასარგებლოდ. ჩვენს ქვეყანაში კვლავაც უნდა გაგრძელდეს და ხელი შეეწყოს სამონადირეო მეურნეობების კიდევ უფრო ინტენსიურად შექმნის პროცესს, რადგან ზემოთ აღნიშნულთან ერთად სამონადირეო მეურნეობების ორგანიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოში სამონადირეო და ეკოტურიზმის განვითარებას.

**ქუბა ნაცვალაძე,**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი



# სოფი საშიში დაავადებაა

**სოფი (ლაზიას) მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ცენტრალურ ნერვულ სისტემას აზიანებს და, როგორც წესი, ადამიანებში სიკვდილით მთავრდება, იმ შემთხვევაში, თუ არასრულფასოვნად ან საერთოდ არ არის ჩატარებული ვაქცინაცია. ცხოველებში კი სოფის დაავადების თავიდან აცილების მხარე განხილავს დროული ყოველწლიური ვაქცინაცია იძლევა.**

სოფის ვირუსის რეზერვუარია გარეული და შინაური თბლსისხლიანი ცხოველი და ლამურა, რომლებიც დაავადების შემთხვევაში კლინიკური ნიშნების გამოვლინებამდე 7-8 დღით ადრე თვითონვე იქცევიან ინფექციის წყაროდ. ვირუსის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ ცენ-

ტრალურ ნერვულ სისტემაში ვითარდება შეუქცევადი პროცესები. კლინიკური ნიშნების გამოვლენის სისწრაფე დამოკიდებულია ვირუსის შეჭრის ადგილზე (კბენის ადგილი). განსაკუთრებით საშიშია ნაკბენი ჭრილობა თავის, სახისა და კისრის არეში, ასევე ხელის თითების



დაბოლოებებზე. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 15-დან 55 დღემდე. არის შემთხვევები, როცა ეს პერიოდი ერთ წლამდეც კი იზრდება, ამიტომ აუცილებელი და მნიშვნელოვანია დროული ანტირაბიული ვაქცინაცია და ექიმის მითითებების შესრულება.

დაავადებას ახასიათებს პერიოდული აფეთქება, ეპიზოტიური კერების ზრდა შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში, რაც დაკავშირებულია ძალისებრთა ოჯახის ცხოველთა სასიცოცხლო ციკლის სტადიურობასთან.

ცოფის დაავადება რეგისტრირებულია მსოფლიოს 150 ქვეყანაში. სიკვდილიანობის 99% მოდის აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებზე. საქართველოში ცოფი ფართოდაა გავრცელებული მთელ ტერიტორიაზე, ამიტომ ქვეყანაში ყოველწლიურად დაახლოებით სამი მილიონი ლარი იხარჯება ანტირაბიულ აცრებზე. შესაბამისად, ვაქცინაციას დაახლოებით 50 000 ადამიანი იტარებს. ეს რიცხვი ძალიან მაღალია და მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში სათანადოდ არ არის გაცნობიერებული ამ დაავადების საშიშროება. ადამიანის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ცხოველის ჯანმრთელობაზე.

ცოფის დიაგნოსტიკა საქართველოში მხოლოდ სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში“ ხორციელდება. საქართველოში ცოფის დიაგნოსტიკა 1957 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, მიუხედავად ლაბორატორიაში სტრუქტურული ცვლილებებისა.

ამჟამად სსიპ /საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში~ ფუნქციონირებს ცოფის განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით და აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ლაბორატორიაში ცოფზე გამოსაკვლევად შემოსული ნიმუშები და მიღებული დადებითი შედეგები გვიჩვენებს, რომ 2012 წლიდან დღემდე ნიმუშების რაოდენობა მატულობს. 2012 წელს მიღებული 409 მასალიდან 92 იყო დადებითი, 2014 წელს 402-დან 114 დადებითი. 2015 წლის პირველი ორი თვის განმავლობაში უკვე დაფიქსირებულია 11 დადებითი შემთხვევა. 2014 წელს განსაკუთრებით იმატა შემოსული მასალების რაოდენობამ გურიისა და კახეთის რეგიონებიდან, სადაც ხშირი იყო გარეული ცხოველების მიერ შინაური ცხოველების დაკბენის შემთხვევები.

ცოფის დროული და ხარისხიანი დიაგნოსტიკა დიდად არის დამოკიდებული ნიმუშის სწორად აღება-შენახვასა და ტრანსპორტირებაზე. იმ შემთხვევაში, თუ იგზავნება ცხოველის

თავი, იგი უნდა იყოს შეფუთული და ჩადებული ნყალგაუმტარ ჭურჭელში, ხოლო თუ იგზავნება თავის ტვინი, იგი უნდა დაკონსერვდეს 10% გლიცერინის ხსნარში. მასალას თან უნდა ახლდეს დოკუმენტი, სადაც აუცილებლად უნდა იყოს აღწერილი დაავადების (დაკბენის) დრო, კლინიკა, დაკბენილი ადამიანის რაოდენობა, მიმართა თუ არა დაზარალებულმა ექიმს, როდის მოკვდა ცხოველი.

2014 წლის ივნისში სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში“ დიდი ბრიტანეთის ცხოველთა ჯანმრთელობისა და ვეტერინარული ლაბორატორიის სააგენტოს (AHVLA) სპეციალისტებმა ჩაატარეს თეორიული და პრაქტიკული სწავლება ცოფის დიაგნოსტიკის საკითხებზე. სასწავლო კურსის ფარგლებში სოფლის მე-



ურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სპეციალისტებმა აითვისეს ცოფის მოლეკულური და მიკროსკოპიული დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები.

ცოფის მოლეკულური დიაგნოსტიკური მეთოდები პირველად დაინერგა ცხოველებში ცოფის დიაგნოსტიკისთვის.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №690 განკარგულებით – „ცოფის პრევენციის მიზნით 2014-2018 წლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ათვალისწინებული ღონისძიებებიდან ლაბორატორიაში ჩატარებული სასწავლო კურსი იყო პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი.

**ნანული ხაიშური,**  
ცოფის განყოფილების უფროსი. სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

**მესაქონლეობა**

# აჭარელ ფერმერებს ჯიძის ჯიშის მაღალპროდუქციული ძროხები გადაეხმებათ

**ფერმერული მეურნეობის განვითარების მიზნით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო წალს პირველად „მაღალპროდუქციული მერძევი მიმართულების პირუტყვი ფერმერთა და აბრომწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ პროგრამას განასოცხდევს.**

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 478 500 ლარია. ამ თანხით სამინისტრო მერძევი ჯიშის 87 ძროხას ელექტრონული ტენდერით შეისყიდის.

ბაზარზე ერთი ძროხა 5 500 ლარი ღირს.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, მაღალპროდუქციულ ძროხას ფერმერებს თანადაფინანსებით გადასცემს.

მინისტრის მოადგილის – სულიკო ბერიძის თქმით, სახელმწიფოს მიზნობრივი პროგრამით შერჩეული ბენეფიციარები ღირებულების – 5 500 ლარის მხოლოდ 20%-ს გადაიხდიან, დანარჩენ 80%-ს კი სახელმწიფო დაფარავს. ვის ერგება სახელმწიფოსგან 80%-ის თანადაფინანსებით მაღალპროდუქციული ძროხები, ამას სამინისტროში არსებული კომისია გადაწყვეტს. მისივე თქმით, პროგრამით მოსარგებლები





წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმით შეირჩევიან. უპირატესობა კოოპერაცივს ან იმ ფერმერს მიენიჭება, ვისაც მინიმუმ 10 მენველი ძროხა ჰყავს.

იმისთვის, რომ ფერმერმა, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, ძროხა სახელმწიფოს თანადაფინანსებით იყიდოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილობით უნდა მიმართოს. მას შემდეგ, რაც, პროგრამის ფარგლებში, მოსარგებლე ბენეფიციართა განცხადების დანერის ვადა ამოიწურება, გამგეობებსა და სამინისტროში შესულ განცხადებებს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოქმედი კომისია განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ის მიიღებს.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის სულიკო ბერიძის განცხადებით, მიზნობრივი პროგრამის „მაღალპროდუქტიული მერძევი მიმართულების პირუტყვი ფერმერთა და აგრომენარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ფარგლებში სამინისტრო საზღვარგარეთიდან შემოყვან-

ნილ მაღალწველადობის ძროხებს ელექტრონული ტენდერით შეისყიდის.

მინისტრის მოადგილის თქმით, ჯერსის ჯიშის ძროხა, რომელსაც აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ფერმერებს თანადაფინანსებით გადასცემს, 25-30 ლიტრ რძეს იწველება. მისივე თქმით, ამ ჯიშის ძროხა სრულ წველადობას მხოლოდ მეექვსე ხბობაზე იძლევა და მას არც განსაკუთრებული სახის საკვები სჭირდება და ჩვენს პირობებში ჩვეულებრივი მოსავლეა. „თუ ჩვენთან გავრცელებული ჯიშის ძროხა ძირითადად 3-5 ლიტრ რძეს იწველება, ჯერსის ჯიში დღეში 30 ლიტრამდე რძეს მოგვცემს.“

პირველი ხბოდან მეექვსე ხბომდე წველადობის პროდუქტიულობა იზრდება. ფერმერი პირველ ხბობაზე რძის მხოლოდ 72%-ს მიიღებს, მეორეზე – 84, მესამეზე – 90, მეოთხეზე – 94, მეხუთეზე – 96 და მეექვსე ხბობაზე წველადობის 100%-ს გვანდის. სრული წველადობის შემდეგ იწყებს კლებას, მეშვიდეზე – 92, მერვეზე – 84 და თანდათანობით ასე კლებულობს. რაც შეეხება მის ხარისხს, რძეში ცხიმინაობა 5-7%-მდე მერყეობს. მართალია, ასეთ ძროხას კარგი მოვლა სჭირდება, თუმცა არ ითხოვს სპეციალურ საკვებს, მისი გამოკვება ჩვენს პირობებშიც შესაძლებელია.

ეს არის დაბალი ტანის, ძვალმაგარი რქოსანი, რომელსაც შეუძლია გადაადგილება როგორც მთაში, ისე – ბარში. კარგი მოვლა სჭირდება ნებისმიერ პირუტყვს, მაგრამ ამ ჯიშის ძროხას თუ სათანადო პირობები არ აქვს, არ მოიწველის. ამასთან, ხარისხიანი საკვები უნდა მიანოდო. ჩვენს პირობებში 20 ლიტრიც რომ მოიწველოს, ცუდი არ იქნება. საქონელს სჭირდება კონცენტრირებული და წვნიანი საკვები. უბეში საკვებით რომ ვკვებოთ დიდიდან საღამომდე, მაგალითად თევით, ან ჩალით, ხმელი საკვებით, რძის მაღალ პროდუქტს ვერ მივიღებთ, მაგრამ თუ გამოვიყენებთ კონცენტრირებულ წვნიან საკვებს, როგორცაა – სილოსი, სენაჟი, კარგი ხარისხის თივა, ქატო, კომბინირებული საკვები და ა. შ. რომელიც შეიცავს სხვადასხვა სახის ვიტამინს, შესაბამისად ხარისხიან და ბევრ რძეს მივიღებთ. კონცენტრირებული საკვები ადგილზეც შეიძლება დამზადდეს“.

ფარმერთა საყურადღებოდ

ორგანული მესხოველეობის პროდუქციის რეგლამენტები

მესხოველეობა წარმოადგენს დაბაჟდებულ რბოლს, რომელიც ამჟამად წონასწორობას სოფლის მეურნეობის წარმოებაში, უზრუნველყოფს მცენარეების მოთხოვნილებას საკვები უზრუნველყოფით, აუზრუნველავს ნიადაგის სტრუქტურასა და შენარჩუნებულს. მესხოველეობა ხელს უწყობს ნიადაგის მიმოქცევას ნიადაგსა და მცენარეს, მცენარესა და ცხოველს, ცხოველსა და ნიადაგს შორის.

მსოფლიოში ორგანული მეცხოველეობა ორგანულ მემცენარეობაზე ნაკლებად არის განვითარებული. ეს თავად სანარმოო პროცესის ორგანიზაციის მეტი სირთულით აიხსნება, ასევე იმ მოთხოვნებით, რომელიც წაყენებულია ცხოველთა მოვლა-შენახვის პირობებისადმი, მათი კვებისა და მკურნალობის პრინციპებისადმი, რაც რეგლამენტებით არის შემუშავებული. ამ რეგლამენტების საფუძველზე შემდგომში ხდება სასოფლო სამეურნეო სანარმოების სერტიფიცირება.

ჩვენ შევხებით ძირითადი სტანდარტების დებულებებს, რისი შესრულებაც შესაძლებელს გახდის ჩვენი მეურნეების და მეცხოველეობის პროდუქციის მენარმეების ახალ დონეზე გადაყვანას.



ორგანული მესხოველეობის მოთხოვნები

მეცხოველეობის წარმოშობის პროდუქტიუმი შეიძლება ჩათვალოს ორგანულად, თუ მათი წარმოებისას გამოყენებული იყო საძოვრები, რომლებიც 3 წლის განმავლობაში არ იყო დამუშავებული მსამქიმკატებით. დაუშვებელია ცხოველთა

**მაქსიმალური სულადობა 1 ჰა-ზე, ევროკავშირში მიღებული ორგანული ტექნოლოგიები**

ცხოველთა სახეობა	სული 1 ჰა-ზე (ნელინადში)*
ცხენი 6 თვეზე უხნესი	2
სუქებაზე დაყენებული ხბოები	5
სხვა ცხოველები 1 წლამდე ასაკის	5
მსხვილფეხა პირუტყვის მოზერები 1-დან 2 წლამდე ასაკის	3,3
მსხვილფეხა პირუტყვის საფურეები 1 დან 2 წლამდე ასაკის	3,3
მსხვილფეხა პირუტყვის მოზერები 2 წელზე უხნესი	2
დეკეულები და უშობლები	2,5
სუქებაზე დაყენებული დეკეულები	2,5
მენველი ფურები	2
გამონუნებული მენველი ფურები	2
სხვა ძროხები	2,5
დედალი ბოცვრები	100
ცხვარი	13,3
თხა	13,3

\*გათვლილია ექვივალენტური რაოდენობის ნაკელიდან გამოყოფილ აზოტზე, რომლის ოდენობა 1 ჰექტარზე არ უნდა აღემატებოდეს 170 კგ-ს.

კვება გენმოდირიცირებული ორგანიზმების გამოყენებით, აკრძალულია ცხოველთა რაციონში ანტიბიოტიკების, კოკციდოსტატიკების და სხვა ფარმაცოლოგიური პრეპარატების, ზრდისა და ლაქტაციის სტიმულატორების გამოყენება. პროფილაქტიკური მიზნითაც დაუშვებელია ქიმიურ-სინთეტიკური ალოპათიური პრეპარატებისა და ანტიბიოტიკების გამოყენება.

ორგანულ მეცხოველეობას საფუძვლად უდევს ჰარმონიული ურთიერთგანვითარება მიწას, მცენარესა და ცხოველებს შორის მათი ფიზიოლოგიური და ქცევის მოთხოვნილებების შესაბამისად. ამის მიღწევა შესაძლებელია ხარისხიანი საკვების მოყვენის ორგანული მეთოდების შეხამებით, ცხოველთა სულადობის დატვირთვის შესაბამისი ნორმებით, მეცხოველეობის ისეთი შენახვის სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველთა კეთილდღეობას და ჯანმრთელობას, მინიმუმამდე ამცირებს ცხოველთა სტრესულ პირობებს, ხელს შეუწყობს დაავადებების რისკების თავიდან აცილებას.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველები უნდა დაიბადონ ისეთ სანარმოო ობიექტებზე, რომლის პირობები მარეგულირებელი დებულებების (Kodex Alimentarius) მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ხორცის წარმოებისათვის გამიზნულმა ცხოველებმა მათი არსებობის მთელი პერიოდი უნდა გაატარონ ბიომეურნეობაში. ამასთან, მათი მშობლების ფერმაში შემოყვანა უნდა მოხდეს მაკეობის პერიოდის პირველი ორი მესამედის განმავლობაში. გამონაკლისია შინაური ფრინველი, რომლის შექმნა დასაშვებია კონვენციურ მეურნეობებში.

**დეზულებიზაციაზე გადახრა**

სასოფლო-სამეურნეო ცხოველები, რომლებიც იმყოფებიან ისეთ მეურნეობებში, სადაც პირობები არ აკმაყოფილებს კოდექსის დებულებებს, შეიძლება გადაყვანილ იქნენ ორგანული წარმოების კატეგორიაზე (კონვერსიაზე) იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორი, მეურნე წარმოუჩენს ოფიციალურ მასერთიფიცირებელ ორგანოს, რომ ცხოველთა მოშენება ორგანული მეცხოველეობის მოთხოვნების შესაბამისად ხდება.

მაგალითად:

1. ფერმის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის, როდესაც იცვლება ჯიშის მოშენების მეთოდები ან ვითარდება მეცხოველეობის ახალი სპეციალიზაცია;
2. სულადობის შესავსებად, მაგალითად, ცხოველების მასობრივად დახოცვის შემთხვევაში;
3. ჯოგის ფარის შესავსებად მამრი ცხოველებით მოშენების მიზნით.

კომპეტენტური ორგანოს გადასაწყვეტია (იმის გათვალისწინებით, რომ შეძენილი ცხოველები ახალგაზრდებია ან ახალი ასსლექტილი) დართოს ნება თუ აუკრძალოს მეურნეს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების გამოყენება არაორგანული მეურნეობებიდან.

**გადასვლის პერიოდი**

კონვერსიის პერიოდის შეკვეცა დასაშვებია გამონაკლის შემთხვევაში, თუ მტკიცდება, რომ ნიადაგი დიდი ხნის პერიოდში არ მუშავდებოდა კონვენციური მეთოდებით, მასერთიფიცირებული ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

– მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხენების, ცხვრის და თხისათვის, რისი სულადობა მოშენებულია ექსტენსიური მეცხოველეობის პირობებში ახალი მეთოდების დანერგვის პერიოდში, რომელიც დადგენილია კომპეტენტური ორგანოს მიერ ან ორგანული კატეგორიაში პირველად გადაყვანილი სარძეო მიმართულების ჯიშებისათვის:

– როდესაც ხდება ერთდროული გადასვლა ორგანულ მეცხოველეობაზე, ორგანულ მემცენარეობაზე იმ პირობით,

რომ ერთი მეურნეობის სარგებლობაშია საკვებწარმოებისთვის გამოყოფილი მიწა; კონვერსიის პერიოდის შეკვეცა დასაშვებია 2 წლამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობაში არსებული სულადობის და მისი ნამატის კვება მიმდინარეობს იმავე მეურნეობაში მოყვანილი საკვები პროდუქტებით;

ცხოველებისა და ცხოველური პროდუქციის კონვერსიაზე გადაყვანისას, გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობაა:

სახორცე მიმართულება – 12 თვე, მინიმუმ 8 თვე ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლივობიდან უნდა გაატაროს ორგანული სისტემის პირობებში;

ხბოები, ხორცის წარმოებისათვის – 6 თვე, იმ პირობით, რომ მოზარდი შეძენილია ასსლექტის დამთავრებისთანავე და მისი ასაკი არ არის 6 თვეს მიღწეული;

რძის პროდუქტები – 90 დღე ახალი მეთოდების დანერგვის პერიოდში, რომელიც დადგენილია მასერთიფიცირებული ორგანოს მიერ, და ამის შემდეგ კიდევ 6 თვე;

ცხვარი და თხა-

სახორცე მიმართულება – 6 თვე;

რძის პროდუქტები – 90 დღე ახალი მეთოდების დანერგვის პერიოდში, რომელიც დადგენილია მასერთიფიცირებული ორგანოს მიერ, და ამის შემდეგ კიდევ 6 თვე;

ღორები – ხორცის პროდუქტებისათვის – 6 თვე;

ფრინველი/კვერცხმდებლები

სახორცე მიმართულება – პერიოდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რაც დადგენილია მასერთიფიცირებული ორგანოს მიერ;

კვერცხი – 6 კვირა.

ახალი მეთოდების დანერგვისას მეცხოველეობის პროდუქტები ინარჩუნებენ ორგანულის სტატუსს იმ პირობით, რომ საკვებწარმოება და ცხოველების საკვებით უზრუნველყოფა ხდება მასერთიფიცირებული ორგანოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ზოგიერთი სახეობის ცხოველებისა და ფრინველების თავისებურებანი

– აკრძალულია ბოცვრისა და ფრინველის გალიებში შენახვა;



- წყლის ფრინველისათვის ყოველთვის, როდესაც კლიმატური პირობები ამის საშუალებას იძლევა, უნდა შეეძლოთ მდინარეებზე, წყალსატევებზე ან ტბებზე გასვლა;
- ნებისმიერი სახეობის ფრინველის შენობაში უნდა იყოს მყარი იატაკი;
- ქვეშაფენის გამოსაყენებლად იხმარება ნამჯა, ბურბუშელა ან ნახერხი, სილა ან ტორფი.

**მთხროვნები ორბანული მეფუტკრეობის პროდუქციისადმი**

მეფუტკრეობის პროდუქცია შეიძლება ჩაითვალოს ბიოპროდუქციად, თუ ბიოსტანდარტის მოთხოვნები სრულდება ერთი წლის განმავლობაში. ამ დროის განმავლობაში ცვილი მთლიანად უნდა შეიცვალოს ბიოცვილით. ერთსა და იმავე ადგილას მდებარე მეფუტკრეობის მეურნეობები უნდა იმართებოდეს ბიომეთოდებით. განცალკევებული მეურნეობები

შეიძლება იყოს კონვენციური და ბიო, თუ არსებობს სათანადო განცალკევების შესაძლებლობა, დადასტურებული სერტიფიკაციის ორგანოს მიერ.

სკები უნდა განლაგდეს ბიომეთოდებით მართულ ტერიტორიებზე ველურ ან ბუნებრივ გარემოში. ამასთან, სკები ისე უნდა განლაგდეს, რომ ფუტკრისთვის საკმარისი რაოდენობით იყოს ხელმისაწვდომი ბუნებრივი ნექტარი, ცვარტკილი, ყვავილების მტვერი და წყალი. სკის გარშემო 3 კმ-ის რადიუსში ყველა სახის მეურნეობა ბიომეთოდებით უნდა იმართებოდეს, ან წარმოადგენდეს ველურ ან/და ბუნებრივ ტერიტორიას, რომელიც არ მუშავდება ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც არ არის დაშვებული სტანდარტით. ამ რადიუსში ნებადართულია ისეთი კონვენციური მეურნეობების არსებობა, რომლებიც დაბინძურების დაბალი რისკით ხასიათდება. ასეთივე დისტანცია (3 კმ) უნდა იყოს დაცული იმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიებიდან, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ დაბინძურების წყაროს. მაგალითად, ურბანული ცენტრები, ავტომაგისტრალები, ინდუსტრიული ტერიტორიები, ნაგავსაყრელები, ნაგვის საწვავი ღუმელები და სხვ. აღნიშნული მოთხოვნები არ ეხება ტერიტორიებს, სადაც არ ხდება ყვავილობა, ან სკები უმოქმედოა.

ორგანულ მეცხოველეობაში აკრძალულია ზრდის ჰორმონების და ანტიბიოტიკების პრევენციული მიზნით გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკვების სისუფთავეს (კონსერვანტების, ზრდის სტიმულატორების, მადის აღმძვრელის გარეშე), შენახვისა და ტრანსპორტირების ანტიბიოტიკულ პირობებს.

ორგანული პროდუქციის წარმოებისა და გადამამუშავებისას იკრძალება გენმოდულირებული ორგანიზმების და მათი წარმოებულების გამოყენება, პროდუქტის საკვები თვისებების შეცვლა (მაგალითად, რძის ცხიმოვანობის შემცირება), ხელოვნური არომატისატორების, საღებავების და კონსერვანტების დამატება.

*რუსუდან პარაკლავა, გოჩა წერიტილი*

**საკვებწარმოება**

ვაბრძელები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებული „საკვები კულტურების აბროწესები“ გაეცდვას.

# საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის აბროწესები

*გაგრძელება, დასაწყისი 2014 № 7-9, 12; 2015 № 1,3*

**ნაწილი VII**

**შუალედური კულტურები**

მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა შუალედური კულტურების თესვა- მოყვანის გაფართოება, რაც გულისხმობს მიწის ინტენსიურად გამოყენების გზით ერთი და იგივე ფართობზე წელიწადში ორი-სამი მოსავლის





მიღებას ძირითადად მწვანე და წვნიანი საკვების სახით. საქართველოს ზონებისა და თესვის ვადების გათვალისწინებით წარმოებაში დასაწერად რეკომენდაციას ვაძლევთ შუალედური კულტურების ხუთ ჯგუფს:

ა) საგაზაფხულო, როცა ადრე გაზაფხულზე (თებერვლის ბოლო, მარტის დასაწყისი) ძირითადი კულტურების (სასილოსე სიმინდი, სუდანურა, სორგო) ან რომელიმე საგვიანო ბოსტნეულის დათესვამდე ან დარგვამდე მინა გამოყენებულია შვრიანარევი ან საგაზაფხულო ქერნარევი ერთწლოვანი პარკოსანი ბალახების (ბარდა, ცერცველა, ცულისპირა) მწვანე მასის მისაღებად. აღნიშნული შუალედური კულტურები ძირითადად გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავი მინათმოქმედების პირობებში;

ბ) საგაზაფხულო სანაწვერალო, როცა საშემოდგომო თავთავიანების ნაწვერალზე, ან საადრეო ბოსტნეულის და სხვა კულტურების აღების შემდეგ ითესება ისეთი კულტურები, როგორცაა: სიმინდი, სოია, სუდანურა, სორგო, მზესუმზირა, შვრიანარევი პარკოსანი ბალახები და სხვა მწვანე მასის მისაღებად შემოდგომაზე გამოყენებისათვის; დასახელებული შუალედური კულტურის თესვა-მოყვანა შეიძლება, საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავ და ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ რაიონებში;

გ) საშემოდგომო, როცა აღმოსავლეთ საქართველოში სასილოსე სიმინდისა და ადრეული ბოსტნეული კულტურების აღების შემდეგ ითესება საკვები კულტურა იმავე წელს გამოყენების მიზნით. ან დასავლეთ საქართველოში ოქტომბერში ითესება შვრიანარევი ერთწლოვანი პარკოსნები და მისი ნარევეები, რომლებიც ფართობ ათავისუფლებენ მაისის შუა რიცხვებამდე და რომელთა აღების შემდეგ მოიყვანება ყველა ძირითადი კულტურა მარცვლისა ან მწვანე მასის მისაღებად;

დ) საშემოდგომო-საზამთრო, როცა აგვისტოში რომელიმე საშემოდგომო ან საგაზაფხულო კულტურის აღების შემდეგ ითესება ტურნეფსი და რაფსი წვნიან და მწვანე საკვებად გვიან შემოდგომაზე, ზამთარში და ადრე გაზაფხულზე გამოყენებისათვის. დასახელებული კულტურის თესვა-მოყვანა შეიძლება რესპუბლიკის დაბლობი ზონის სარწყავ პირობებში და ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ რეგიონებში;

ე) შეთესილი შუალედური, როცა მრავალწლოვანი პარკოსნები (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი) გაზაფხულზე ითესებიან, ძალიან ნელა იზრდებიან და იმ წელს დასათიბ მასას თითქმის არ იძლევიან, ამიტომ ასეთ ნათესებში ტარდება

შვრიის ან სუდანურას შეთესვა გარდ-გარდმო, დამატებითი მოსავლის მისაღებად.

აღნიშნული შუალედური კულტურების თესვა-მოყვანის ღონისძიებები (თესვის ნორმა, თესვის წესი, განოყიერება, ნათესების მოვლა და სხვა) ისეთივეა, როგორც ამ კულტურების აგროტექნიკის განხილვის დროს ზემოთ გვექონდა მოტანილი.

**მწვანე კონვეიერი**

მცეხოველეობის პროდუქტიულობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი პირუტყვი წლის ყველა პერიოდში მწვანე და წვნიანი საკვებით. ამის მიღწევა კი საქართველოს დაბლობი ზონის სარ-



წყავ და ტენით უზრუნველყოფილ პირობებში თავისუფლად შეიძლება, თუ მსხვილ ფერმერულ მეურნეობასთან ან გაერთიანებებთან მოეწყობა მწვანე კონვეიერი.

საქართველოს მინათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით მწვანე კონვეიერების მოწყობისას, რეკომენდაცია ეძლევა კულტურათა შემდეგ მორიგეობას:

ა) პირველი მოსავლის მისაღებად აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში, ადრე გაზაფხულზე (თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში) და დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში, წინა წლის შემოდგომით (ოქტომბერი) დაითესება შვრიანარევი ან ჭვავნარევი ერთწლოვანი პარკოსნები (ბარდა, ცერცველა, ცულისპირა). აღმოსავლეთ საქართველოში მეორე მოსავლის მისაღებად განთავისუფლებულ მინდორზე საჭიროების მიხედვით ნაწილზე დაითესება სოიანარევი სიმინდი, ნაწილზე სუდანურა მწვანე საკვებად, ნაწილზე მზესუმზირა-სასილოსე, ნაწილზე შაქრის ჭარხალი-წვნიან საკვებად, მესამე მოსავლის მისაღებად შვრიანარევი ბარდა ან შვრიანარევი ცერცველა. დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში შემოდგომაზე ნათესი ერთწლოვანი საკვები

ბალახებისაგან განთავისუფლებული ფართობი (მაისი), მეორე მოსავლის მისაღებად დაითესება სუდანურა-სიმინდი-სოიას რთულკომპონენტის ნარევი, რომლის აღების შემდეგ (აგვისტო) მესამე მოსავლის მისაღებად დაითესება ტურნეფსი და რაფსი. შემალეულ ადგილებში (ზღვის დონიდან 500 მ-ზე ზევით), სადაც სამი მოსავლის მიღება ვერ ესწრება, შვრიანარევი ცერცველას ან შვრიანარევი ბარდის შემდეგ ნაბალახარი მინდორი გაიყოფა ორ ნაწილად. ერთ ნაწილზე დაითესება სუდანურა-სოია, სიმინდის ნარევი, მეორე ნაწილზე კი – ტურნეფსი და რაფსი.

ბ) პირველი მოსავალი – სოიანარევი სიმინდის მწვანე საკვებად ან სასილოსედ, მეორე მოსავლისათვის ფართო-

ბის ნახევარზე დაითესება შვრიანარევი ცერცველა მწვანე საკვებად, ხოლო მეორე ნაწილზე ტურნეფსი და რაფსი წვნიან და მწვანე საკვებად. კონვეიერის ეს სქემა შეიძლება განხორციელდეს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის და ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ პირობებში;

გ) გარდაამავალი პერიოდის დროს, ისეთ მონაკვეთში, როცა მინდვრად არა გვაქვს ერთწლოვანი საკვები კულტურების მწვანე მასა, მაშინ მისი დეფიციტი უნდა შეივსოს მრავალწლოვანი ბალახების – იონჯას, სამყურას, მრავალსათიბი კონინდარის და სათითურას მწვანე მასით, რომლებიც მწვანე კონვეიერის სქემის მიხედვით უნდა დაითესოს გამოყოფილ ფართობებზე;

მწვანე კონვეიერის მოსაწყობად უნდა შეირჩეს ფერმის ახლომდებარე სარეველებისაგან სუფთა, შედარებით ნაყოფიერი ნიადაგი, სადაც პირველი ვარიანტის შემთხვევაში შვრიანარევი ერთწლოვანი პარკოსნები დაითესება დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის პირობებში შემოდგომით (ოქტომბერი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად ნაწილში – თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში.

# როგორ შევინარჩუნოთ მარცვლეულის ხარისხი მოსავლის აღებიდან თესვამდე?



მარცვლეულის კულტურების ნაყოფიერების (აღმოცენების) თვისების შენარჩუნების საკითხი აქტუალურია ნებისმიერ სეზონში, მოსავლის აღებიდან თესვის თვისების დამუშავებამდე. თესვისათვის თესლის ხარისხიანად მომზადების უზრუნველყოფას სათესლე მასალის შენახვის წესების დაცვა განაპირობებს, რაც გამოიხატება თესლის განიავებაში – პერიოდულად გადაარებაში, გადაზრუნვაში და შენახვაში. ამ უპირატესობის ზედმიწევნით შესრულება შესაძლებელია „როსტელმაშის“ წარმოების, მარცვლეულის შემანახველი და გადაამუშავებელი ტექნიკის საშუალებით.

## M3C-90 მარცვლეულის უნივერსალური გადაამტვრევი

წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც ელექტორების მფლობელები ნიჩბებით ეწეოდნენ დასაწყობებული მარცვლეულის გადაამუშავებას, არევის, რათა დაეცვათ მარცვლეული გაფუჭებისგან (ჩახურება, დაობება, დაღობება). დღეს საწყობებსა და ღია საცავებში სამუშაოს ეფექტიანობის გაზრდა-გაიოლებად „როსტელმაშის“ წარმოების მარცვლეულის თვითმავალი გადაამტვრევა M3C-90 გვეხმარება, რომელსაც საათში 90 ტონამდე მარცვლეულის გადატვირთვა შეუძლია. მარცვლეულის გადასროლის მაქსიმალური მანძილი 20 მეტრი, ხოლო სიმაღლე 6 მეტრია, რაც შედარებით მცირე დიამეტრის და მაღალი გროვების ფორმირების საშუალებას იძლევა. მარცვლეულის ერთი ადგილიდან მეორემდე გადაყრის დროს განიავებასთან ერთად იგი წარჩენებისგან, მსუბუქი ფრაქციისგან სუფთავება და შრება, რაც ხელს უწყობს მის კარგად შენახვას.

„როსტელმაშის“ წარმოების მარცვლეულის გადაამტვრელთა სამოდელო ხაზში 6 მოდელია, რომელთაგან ფერმერებს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით სასურველი მანქანის შერჩევა შეუძლიათ. მარცვლეულის გადაამტვრელი M3C-90-20-01 და M3C-90-20-02 მანქანები გამოირჩევა კომპაქტურობით, სამუშაო ნაწილის 4-მეტრიანი მოდების სიგანით, სატრანსპორტო საშუალებაში 3 მეტრამდე ჩატვირთვის სიმაღლით. მათ შეუძლიათ მარცვლეულის დაბალი გროვების გაკეთება, რაც მოსახერხებელია დაბალჭერიან საწყობებში. ეს მოდლები პოპულარულია იმ ფერმერთა შორის, რომლებიც საწყობად იყენებენ ყოფილ ფარდულებს და საქონლის სადგომებს. დიდ საწყობებში სამუშაოდ და 4 მეტრამდე სიმაღლის ძარის მქონე სატრანსპორტო საშუალებებში ჩასატვირთად გამოიყენება მარცვლეულის გადაამტვრევი M3C-90-20-05 და M3C-90-20-06 5,2 მეტრიანი სამუშაო ნაწილის მოდების სიგანით. M3C-90-ს ყველა მოდიფიკაცია აღჭურვილია ხვეტია შემგროვებლით, რაც გამოირჩევა მარცვლის დაქუცმაცებას.

ტრიმერის საკუთარი ღერძის გარშემო 135 ბრუნვის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად აფართოებს M3C-90-ს გამოყენების სპექტრს. მაგალითად, მარცვლეულის ჩატვირთვა ტრანსპორტში შესაძლოა განხორციელდეს უწყვეტად, ხოლო საწყობის დატვირთვა და დაგროვება – ცენტრალური ღერძიდან ორივე მხარეს და უკან.

M3C-90-ს ყველა მოდელი აღჭურვილია სამფაზიანი ელექტროძრავებით. ელექტროენერგია შესაძლოა მიენოდოს 380 ვოლტი ძაბვის ქსელიდან ან მოძრავი ავტონომიური სტაციონარული ელექტროსადგურიდან. ელექტროძრავის ჩასართავად,

გადატვირთვისგან, მოკლე ჩართვისგან და აპარატურის თვითნებური ჩართვისგან მის დასაცავად დამონტაჟებულია გამშვებდამცავიანი აპარატურით აღჭურვილი ფარი. შრომის დანახარჯების და ელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით შესაძლოა მარცვლეულის გადაამტვრევის ენერგოდამზოგავი მოდელის შერჩევა, რომელიც აღჭურვილია სისპირის გარდაქმნელით.

კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც გამოარჩევს „როსტელმაშის“ მარცვლეულის გადაამტვრეველებს ანალოგიური ტექნიკისგან, სპეციალური მაკომპლექტებული მოწყობილობების მეშვეობით მარცვლეულის შესანამლ PCM-25-ად დანადგარად გარდაქმნის საშუალებაა.

## შემანახველი PCM-25: დაავადებების და მანქანების სადარაჯოზი

სათესლე მასალის შენახვის ეფექტიანობა მეცნიერულად დაახლოებით 300 წლის წინათ დამტკიცდა. სანარმოო მასშტაბებით ფუნქციონირებით დამუშავება შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებასთან ერთად. „როსტელმაშის“ წარმოების თვითმავალი თესლის შესანამლ PCM-25-ს საათში 20 ტონამდე მარცვლეული, პარკოსანი და ტექნიკური კულტურების თესლის შენახვა შეუძლია. ასეთი მოცულობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოქმედი ნივთიერებების ზუსტ დოზირებას და თანაბარ განაწილებას.

PCM-25 განკუთვნილია მარცვლეული კულტურების ხსნარებით დამუშავებისთვის. დანადგარის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს თესლის ტრანსპორტის მეშვეობით მიმდებ ბუნკერსა და შემდეგ შესანამლ კამერაში გადატანას, სადაც ხდება ფუნქციონირებით შენახვა. მარცვლეულის ხვეტია შემგროვებელი გამოირჩევა თესლის დაზიანებას, რაც ფუნქციონირებით თესლის ზედაპირის თანაბრად დამუშავებას განაპირობებს.

შენახვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს პროცესის უწყვეტობას, რადგან ერთი ციკლის პირველი და ბოლო პორციების შენახვა ხდება დანარჩენზე უარესად. PCM-25-ში მარცვლის მიწოდება რეგულირდება ორი საზომი ხელსაწყოს საშუალებით, რომლებიც მიმდები ბუნკერის გავსებისა და ჩატვირთვის ოპტიმალური მოცულობის მიღწევის დროს ირთვება. შესანამლი კამერის გავსება რეგულირდება მექანიკურად სახელურის საშუალებით, რომელიც ცვლის ბუნკერში მოთავსებული ჩამკეტის მდგომარეობას. ამგვარად, ოპერატორი ტექნიკის წარმადობას სათესლე მასალის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით არეგულირებს.

ქიმიური ხსნარის მიწოდება ხორციელდება გამანაწილებელი ონკანების მეშვეობით. საჭირო დოზის გადაჭარბების შემთხვევაში ზედმეტი ხსნარი დამატებითი მილის მეშვეობით უკან ავზში ბრუნდება. ამგვარად ხდება ხსნარის დამატებითი არევა.

დამუშავების შემდეგ თესლი გადადის გადასატვირთ შვეკში და იტვირთება კალოზე, ტომრებში ან სატრანსპორტო საშუალებაში. შესანამლი აგრეგატი და გადასატვირთი მოწყობილობით რომელიც ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად 120°-იანი კუთხით მოძრაობს, გადასატვირთი ხორბლის ნაკადის სასურველი მიმართულებით გაშვება შეგვიძლია.

## მარცვლეულის გადაამუშავებელი კომპლექსი 3MΠ-PCM-01 – ორი ერთში

თვითმავალი მარცვლეულის გადაამუშავებელი კომპლექსი 3MΠ-PCM-01, ერთდროულად ითავსებს მარცვლეულის გადაამტვრევის და შემანახველის ფუნქციებს. აღნიშნულ დანადგარს M3C-90-ს და PCM-25-ს ყველა მახასიათებელი გააჩნია. გადასაკეთებელი აღჭურვილობის მეშვეობით კომპლექსური გადაამტვრევი როგორც გადატვირთვის, ისე შენახვის რეჟიმებში მუშაობს და მომხმარებელს მნიშვნელოვანი ეკონომიის გაკეთების გზით ორის ნაცვლად ერთი დანადგარის შექმნის საშუალებას აძლევს.

„როსტელმაშის“ მარცვლეულის გადაამუშავებელი ტექნიკის უსაფრთხოება და მუშაობის ხარისხი საერთაშორისო სერთიფიკატებითაა დამოწმებული!

## სოიას თესვა-მოყვანა სიმინდთან შეთესვით

**მცენარეთა და ცხოველთა საზღვარში არ მოიძებნება სხვა ისეთი კულტურები, რომელიც სოიას შეადარებოდეს ცილების, ცხიმების, ნახშირწყლის, მინერალური მარილების, ვიტამინებისა და სხვა ნივთიერებათა შემცველობითა და მათი უაღრესად ხელსაყრელი თანაწყობილი თანსებაში.**

მარცვლის ქიმიური შემადგენლობა სრულიად განსაკუთრებულია: ცილები 30-52%, ცხიმი 17-27% და ნახშირწყლები 20%. სოიას მარცვლისაგან მიღებული ფქვილით ამზადებენ მარგარინს, რძეს, ყველს, კონსერვებს, სუფს, სოუსს, ყავის სუროგატს, კექსს და ბურღულს. იგი გამოიყენება ტექნიკური მიზნებითაც. საპნის, გლიცერინის, საღებავების, თესლის ძირითადი ცილა-გლიცინინი დამუყავებისას იჭრება (ხაჭოვდება). შროტი და კობტონი გამოიყენება შოკოლადის და კანფეტების დასამზადებლად. სოია მნიშვნელოვან ნედლეულს წარმოადგენს ზეთსახდელი მრეწველობისათვის. მისგან დამზადებულ ზეთს იყენებენ არა მარტო საჭმელად, არამედ საპნის მრეწველობაშიც, ლაქ-საღებავების წარმოებაში. მცენარეული ზეთის მსოფლიო წარმოებაში სოიას პირველი ადგილი უკავია.

სოია ძვირფას საკვებად ითვლება ყველა სახის ცხოველისა და ფრინველისათვის, მისი მარცვლიდან, როგორც ცნობილია დაახლოებით 400-ზე მეტი სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტი მზადდება. როგორც ამბობენ სოიას ერთი ტონა მარცვალი იგივეა, რაც ერთი ტონა რძე ან ერთი ტონა ხორცი. სოია შეიცავს ვიტამინებს, რკინას, მანგანუმს, კალციუმს და სხვა. სოიას იყენებენ ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადებების, მაქრიანი დიაბეტის, ქრონიკული ქოლესტისტიტის, ალერგიული დაავადებებისათვის სამკურნალოდ. სოიას პროდუქტები აპრობირებულია არა მარტო საკვებად, არამედ როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებად.

სოია ჩინური წარმოშობის კულტურაა. მას ჩინეთში ხუთი ათასი წლის წინათ იცნობდნენ. საქართველოში იგი მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში იქნა შემოტანილი და იგი სწრაფად გავრცელდა მთელ ქვეყანაში, შემდეგ კი მთელ კავკასიაში. საქართველოში გავრცელებული სოიას ჯიშებია: იმერული, გურული, „მონინავე-7“, „კოლხიდა-4“, „ადრეულა-6“, სენაკის და სხვა.

მიუხედავად სოიას ასეთი დადებითი თვისებებისა, დღევანდელ რთული პირობების გათვალისწინებით, იგი არ არის ჩაყენებული მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში. არადა საქართველოში, კერძოდ დასავლეთ რაიონებში საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები არსებობს. სოია ტექნიკური, საკვები და სიდერალური კულტურაა.

საქართველოში სოია მისი შესწავლის დღიდან ლობიოსა და სხვა კულტურის მსგავსად სიმინდთან ერთად წარევი ითესებოდა, სადაც ერთი და იგივე ფართობზე ორი განსხვავებუ-

ლი კულტურის სოიას და სიმინდის საკმაოდ მაღალი მოსავალი მიიღება და ამასთან ერთად ნიადაგის ნაყოფიერება სოიას გავლენით იზრდება. საქართველოში სოიას თესვის ვადები ემთხვევა სიმინდის თესვის ვადებს და 10-დან 20 აპრილამდე პერიოდი ოპტიმალურად ითვლება. ნიადაგის მომზადების წესი სოიასათვის ისეთივეა, როგორც სიმინდისათვის. სოია როგორც სათონი კულტურა, ითესება ფართო მწკრივებად. სოიას სუფთა თესვის დროს ჰექტარზე ითესება 30-40 კგ. თესლი. სიმინდთან შეთესვის დროს კი – 10-14კგ.

თესვის დროს ყველაზე მაღალი მარცვლის მოსავალი მიიღება იმ დროს, როცა ფართობის ერთეულზე სიმინდი სოიას ნარევი დაითესება 1:1. ამ შემთხვევაში კი მართალია შემამჩნევად მცირდება როგორც სიმინდის, ასევე სოიას მარცვლის მოსავალი სუფთად ნათესთან შედარებით, მაგრამ ორივე კულტურის(სიმინდი+სოია) მოსავლის ჯამით მნიშვნელოვნად აღემატება სუფთად ნათესი სიმინდისა და სოიას მოსავალს. სოიას მარცვალი ცილების მაღალი შემცველობის გამო წარმოადგენს მთავარ და პრაქტიკულად შეუცვლელი ნედლეულის წყაროს ცილოვანი დანამატისას სიმინდის მარცვლისათვის, რომლებიც ცილის დაბალი შემცველობით ხასიათდებიან. სიმინდი მონოკულტურაა. ამ შემთხვევაში აუცილებელია სიმინდის ნათესებში პარკოსანი მცენარეების შეთესვა (სოია, ლობიო). ფესვები მოახდენს კოჟრის ბაქტერიებით ნიადაგის გამდიდრებას და სასარგებლო მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობის გაძლიერებას (კოჟრის ბაქტერიები ახდენენ ატმოსფეროს ფიქსაციას ნიადაგში). სოია კარგი კომპონენტია სიმინდთან ერთად, რადგან ისინი ამალღებენ სიმინდის კვებით ღირებულებას, ადიდებენ რა მონელებად ცილას სიმინდის მწვანე საკვებში, თივაში და სილოსში. მრავალ დადებით თვისებებთან ერთად სოია საუკეთესო წინამორბედი ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის. მაგალითად, სიმინდის მარცვლის მოსავალი 5-6 ცენტნერით იზრდება, თავთავიანების მოსავალი – 3-4 ცენტნერით. სოიას აქვს დიდი აგროტექნიკური მნიშვნელობა. ისინი აუმჯობესებენ ნიადაგის აზოტის ბალანსს, ხელს უწყობენ თესლბრუნვის პროდუქტიულობის ამაღლებას. სოიას ფესვებზე ვითარდებიან კოჟრის ბაქტერიები, რომლებიც ითვისებენ ჰაერის თავისუფალ აზოტს და მისით ამდიდრებენ ნიადაგს. სოიას შეუძლია ფიქსაცია უყოს 50-300კგ-მდე ჰაერის აზოტს ჰა-ზე.

სოია საუკეთესო კომპონენტია კომბინირებულ საკვებში. მისგან დამზადებული ვიტამინოვანი ფქვილი საუკეთესო ხარისხისაა სოიას მწვანე მასის დასამზადებლად. სოიას მწვანე მასის აღება უნდა დავინყოთ დაპარკების ფაზაში და გაგრძელდეს მარცვლის რძისებრ-ცილისებრი სიმინფის ფაზამდე.

მინერალური სასუქების ინტენსიურმა გამოყენებამ, თესლბრუნვის და ორგანული სასუქების უგულვებელყოფამ გამოიწვია ნიადაგის ნაყოფიერების დაქვეითება და პროდუქციაში ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვება. ქიმიურმა პრეპარატებმა და პესტიციდებმა დაარღვია წონასწორობა



ეკოლოგიურ სისტემაში „მცენარე-ნიადაგი-ადამიანი“, მოსპო სასარგებლო ენტიმოფაგები და ცხოველები, შეამცირა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხი, გამოიწვია ადამიანის ათასგვარი დაავადებები. სოფლის-მეურნეობის წარმოება მინათმოქმედების ამ სისტემაში წარმოდგენილია, როგორც მთლიანი ორგანიზმი, სადაც ბუნებრივ პირობებსა და წარმოებას შორის მყარდება მყოფადი წონასწორობა. აქ მთავარი დევიზი ნიადაგის კვებაა და არა მცენარის. მისი სტრუქტურა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის ნარჩენების უტილიზაციას, გამოთიშავს მინერალური სასუქების გამოყენებას და სხვა ქიმიურ საშუალებებს. ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება ხდება საკუთარი რესურსების ხარჯზე. ამ საქმეში მთავარი ადგილი უჭირავს პარკოსან კულტურებს, კერძოდ სოიას.

სოიას დაავადებების წინააღმდეგ (ასკოხიტოზი, ფუზარიოზი, რუხი სიდამპლე, ანთრაქნოზი, ბაქტერიოზი) მავნებ-

ლებთან ბრძოლაში (კოჭრის ცხვირგრძელები, ალურები) და ვეგეტაციის პერიოდში უნდა გამოითიშოს მინერალური სასუქების გამოყენება და სხვა ქიმიური საშუალებები. ჩვენი მიზანია გამოვიყენოთ მხოლოდ ბიოლოგიური პრეპარატები: „ორგანიკა“, „ბიოკატენა“, „ლევიდინი“ და სხვა რომლებიც დამზადებულია მცენარეული ნარჩენებისაგან. ბიოპრეპარატების გამოყენებით მიიღება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება უნდა მოხდეს საკუთარი რესურსების ხარჯზე. ამ საქმეში მთავარი ადგილი უჭირავს პარკოსან კულტურას, კერძოდ სოიას, რომელიც იქნება ადგილობრივი ჯიში და არა გენმოდირიცირებული.

**ზინაზ სარალიძე,  
ზურაბ პილანიშვილი**

**ლიტერატურა ფარმაციათის**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2014-2015 წლებში გამოცემული რეკომენდაციები**



**საკვები კულტურების აგრონომია**

(ავტორები: აკად. გ. ცაგუერიძე, დოქტორები ქ. ნიაურა, ნ. ფვანია; რეცენზენტი – აკად. პ. ნასყიდაშვილი, რედაქტორი – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე) – 2014 წელი.

**საინვესტიციო პროექტი – მთავარეზერვუარის საკვები ბაზის, პარკის წარმოება**



**ბის და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა სოფლის რაიონში**

(ავტორები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია – აკად. ნ/კ გ. ნიკოლეიშვილი – ხელმძღვანელი, აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. თ. კუნჭულია, აკად. ნ/კ ე. შაფაქიძე, დოქტორები თ. დალაღიშვილი, ნ. ბარამიძე, ე. ჭოლაძე; ხონის რაიონის გამგეობა; ხონის მეაბრეშუმეობის მეურნეობა. რედაქტორი – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე) – 2015 წელი.

**სასოფლო-სამეურნეო ჯგუფის გამოყვანის მეთოდიკა**



(ავტორები: აკად. გ. გუგუშვილი, დოქტორი ს. ლომიძე, ზოოტექნიკოსი თ. ედიშერაშვილი; რედაქტორი – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე) – 2015 წელი.

მის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე) – 2015 წელი.



**ჯიშთაშორისი შერევის ბიოლოგია და მისი გამოყენება მეთოდიკაში**

(ავტორი: აკად. გ. გუგუშვილი; რედაქტორი – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე) – 2015 წელი.


**მეწერი-ბიოლოგიური თავისებურებები, ჯიშები,**



**მოვლა-შენახვა, კვირცხის ინკუბაცია, კვება, დაავადებები**

(ავტორი: დოქტორი ა. გიორგაძე; რეცენზენტი – ს.მ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ლ. ჯიქია, დოქტორი მ. ბარვენაშვილი; რედაქტორი – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე) – 2015 წელი.

**მანვარი ნეშვისა და ქაშუთა გოჭის შესანახავი მეთოდური რეკომენდაციები**



(ავტორები: აკად. რ. მახაროზიძე, პროფ. რ. რუსიშვილი, დოქტ. რ. ჯაფარიძე, ტ. უშარიძე; რედაქტორი – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე) – 2015 წელი.





**ვალტრას ტრაქტორები -  
A სერიის კომპაქტური მოდელები  
ინდივიდუალურად თქვენთვის**



ოფიციალური დილერი  
**WORLD TECHNIC**  
**სსიპსოლო გეოქნიკა**  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) E-mail: [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)  
 ☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

**AG** ალიანს ჯგუფი  
**ლიზინგი**

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ  
 ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად





MASSEY FERGUSON



*Challenger*



 **AGCO**  
Your Agriculture Company

ოფიციალური დილერი  
**WORLD TECHNIC**  
საქართველო  **გაქნიკა**  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) E-mail: [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)  
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81



# საკვებდაამაგზადებელი ტექნიკის სრული კომპლექსი



**როტაციული (გბრუნავი) საკიდი სათიბველა  
STRIGE 2100/2400/2800**  
მოდების განი – 2,1-დან 2,8 მეტრამდე.  
წარმადობა – 3-დან 4 ჰა/სთ.




**საკიდი როტაციული ფოცნი  
KOLIBRI 350/471**  
მოდების განი – 3,5-დან 4,7 მეტრამდე.  
წარმადობა – 4,2-დან 5,4 ჰა/სთ.



**საკვებდაამაგზადებელი მისაგებელი კომბაინი  
STERH 2000**  
წარმადობა – 38 ტ/სთ.  
სამუშაო სიჩქარე – 7,2 კმ-მდე/სთ.



**კონდინციონერინი საკიდი სათიბველა  
SAPSUN 2400**  
მოდების განი – 2,4 მეტრამდე.  
წარმადობა – 3 ჰა/სთ.



**მეძანიკური თვლიანთითვაიანი ფოცნი  
KOLIBRI V**  
მოდების განი – 6 მ.  
წარმადობა – 6 ჰა/სთ.



**თივის (ნაგვის) ამკრეფ-დამწნეხი  
TUKAN 1600**  
მოდების განი – 1,55 მ.  
წარმადობა – 10 ტ/სთ. ფუთის სიგრძე 1,3მ.



**მისაგებელი სათიბველა  
BERKUT 3200**  
მოდების განი – 3,2მ.  
წარმადობა – 5,2 ჰა/სთ.



**მისაგებელი 2 როტორიანი ფოცნი  
KOLIBRI DUO**  
მოდების განი (სარეგულირებელი) – 6,8-7,6მ.  
წარმადობა – 7,7 ჰა/სთ.



**რულონური ამკრეფ-დამწნეხი  
PELIKAN 1200**  
მოდების განი – 1,45მ.  
წარმადობა – 10 ტ-მდე/სთ.  
რულონის დიამეტრი 1,2მ.

საკონტაქტო ინფორმაცია:  
+995 (32) 2740740 - საქართველოს წარმომადგენლობა  
+7 (863) 252-57-04, 254-36-11 - სათავო ოფისი  
+7 863 250 31 14 - English language  
[www.klevertd.com](http://www.klevertd.com)

**ROSTSELMASH**





**აგროთაბორი**

**ჰიბრიდი  
სიბინის თხელი**

საკონტაქტო ინფორმაცია:  
591 20 25 25 თბილისი  
591 150 154 მარნეული  
599 85 92 92 საგარეჯო  
593 91 57 16 ხაშური